სპორტული ჟურნალი

№1 მარტი, 2000 ფასი 3 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

ქეცბაიადან 53

აკა მორჩილაძე:
მანჩესტერული ამბავი
თბილისურად

3 ვახტანგ გზიკაძე
ნაკიანს გარდაცვლილი

4 სოლომონ გულისაშვილი
ძველი გაზეთი
გივი ჩოხელი, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი და თასი, რომელიც ბირჰოფს ეჭირა

6 სოსო კოტორეიშვილი
გასეირნება მოგონებებში
ინტერვიუ რამაზ შენგელიასთან

9 ზურაბ მეძველია
თემური და მისი რაზმი
ევროქართველთა 53 ევროგოლი

10 პაპუნა კედია
10 სექტემბერი. 1985 წელი
შოტლანდიელი მწვრთნელის საოცარი აღსასრული

12 მიხეილ სურგულაძე
STOP! გადაღებულია
ის, რაც კადრს მიღმა დარჩა

15 ლაშა ჯაფარიძე
ალბერტო ტომბას სარეცლიდან ალესანდრო კოსტაკურტას სარეცელში
მარტინა კოლომბარის ამბავი

17 ავთანდილ სვანიძე
სხვადასხვა

18 აკა მორჩილაძე
დათოს ხელფასი
პიესა სამ მოქმედებად

20
FORMULA 1
მონაწილენი, კალენდარი

21 ირაკლი გამყრელიძე
უბილეთო მგზავრი
აიკ იბეაბუჩი — უცნაური არსება

გარეკანზე

I 29.02.2000. რეალი — ბაიერნი. ტორსტენ ფინკი (№17) და რობერტო კარლოსი
II საქართველოს სუპერთასი. დინამოელი რევაზ ქემოკლიძე (მარცხნივ) და ტორპედოელი ზურაბ იონანიძე
III ანა კურნიკოვა
IV „მანჩესტერ იუნაიტედი“ 1999 წლის 26 მაისს

დეკემბერში მკითხველისა და გაზეთ „სარბიელის“ ნაცნობობა ათი წლისა გახდება, ჟურნალი „სარბიელი“ კი დღეს პირველად და მოკრძალებით წარსდგა თქვენს წინაშე.

რას ან ვის უძღვნიან მას ავტორები? ეს ჟურნალი, უწინარეს ყოვლისა, მკითხველს ეძღვნება. „სარბიელი“ ახლანდელ არეულ თუ მომავლის დალაგებულ ხანაში მკითხველთან ერთად, მისი ინტერესისა და სურვილის გათვალისწინებით აპირებს ცხოვრებას.

გარდა ამისა, იგი ეძღვნება პროფესიულ სპორტს, რომლის შოუ-ბიზნესად ქცეული მშვენება, ფეხბურთი, 21-ე საუკუნეში ახლებური ეშხით აპირებს შემოვარდნას და ჟურნალის ფურცლებზეც, ბუნებრივია, შესაფერის ადგილს დაიკავებს.

ჩვენი სურვილი თქვენთან საუბარია. გვსურს მოგითხროთ ყველაფერზე, რაც სპორტის წამყვან სახეობებსა და მათში მოღვაწე ძველ თუ თანამედროვე ადამიანებს ეხება. გვსურს ვიცოდეთ, რის წაკითხვას ისურვებდით თავად, გვსურს წარმოვიდგინოთ, რომ სასიამოვნო გარემოში, სასიამოვნო კამპანიაში შევიკრიბეთ და უბრალოდ, უპრეტენზიოდ მოვუთხრობთ ერთმანეთს ისტორიებს, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო ადგილებში, ჩვენთვის საინტერესო ხალხს გადახდენია.

ლევან ალადაშვილი

რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
ოპერატორი სვეტა დევაძე

მრჩეველთა საბჭო: ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი, ზურაბ მეძველია, ვახტანგ ფარცხალაძე, ზურაბ ფოცხვერია

ნაკიანს გარდაცვლილი

ვახტანგ ბზიკაძე

როდის დაიბადა თამაზ კოსტავა?

ის ქუთაისში დაიბადა, ფეხი იქაურ „ტორპედოში“ აიდგა, 21 წლისა თბილისის „დინამოში“ მოხვდა და 25-ისა ევროპის თასების თასს დაეუფლა.

ის ყოველ დაბადების დღეს ყულაბას კენჭებით ავსებდა. თითო იუბილე — თითო კენჭი. 44 წლის რომ გახდა, ყულაბა გადმოაპირქვავა და 11 კენჭი დაითვალა. ის თამაზ კოსტავაა, ეს კი, ერთი ძველი ამოცანის გადამღერება. ამოცანა კი გვეკითხება — როდის დაიბადა თამაზ კოსტავა.

საფეხბურთო ცნობარსა თუ კალენდარში ჩახედვა ზედმეტია იმის სათქმელად, რომ თამაზ კოსტავა 1956 წლის 29 თებერვალს დაიბადა — 44 წლის წინ. წლეულს კი 2000 წლის 29 თებერვალს ეროვნული სტადიონის ტრიბუნაზე იჯდა.

— ჩემთვის ორივე გუნდი ძვირფასია, მაგრამ, ცხადია, თანაქალაქელთა გამარჯვება უფრო გამახარებდა. თანაც გუშინ ჩემი დაბადების დღე იყო, ასეთი ბედნიერი დღე კი, იცით, ოთხ წელიწადში ერთხელ მაქვს.

ამიერიდან ასეთი ბედნიერი დღე 4 წელიწადში ერთხელ ექნება „დინამოსაც“. საქართველოს ათგზის ჩემპიონი და ექვსგზის თასის მფლობელი ყოველ 29 თებერვალს აღნიშნავს საქართველოს ვიცე-ჩემპიონის და თასის მფლობელის, ქუთაისის „ტორპედოს“ 1:0 დამარცხებით სუპერთასის მესამედ და სამუდამოდ დაუფლებას.

— წინა სამი სუპერფინალიდან ორი „დინამომ“ მოიგო და სამართლიანია, გაზეთ „რეზონანსის“ დაწესებული ეს თასი სამუდამო მფლობელობაში სწორედ მას რომ გადაეცა — მატჩის შემდეგ პრესკონფერენციისას თქვა ქუთაისელთა თავკაცმა დავით ყიფიანმა, რომელსაც ერთში კი გაუმართლა: ამ მარცხიანი დღის გახსენება მასაც იშვიათად, ნაკიან წლებში მოუწევს.

საჭიროა სუპერფინალი?

— ეს თასი მეტად აღარ გათამაშდება — ხორცმეტმოშორებული კაცის ტკივილნარევი კმაყოფილებით ჩაბარა დავით ყიფიანმა ისტორიას სუპერფინალების გახანგრძლივებული ოთხწლედი. ეს კი ზედმეტი დადასტურება იყო, რომ ეს მატჩი ბევრს თავიდანვე არ ეხატებოდა გულზე, თორემ პირველი ორი გათამაშების გამარჯვებულ დავით ყიფიანს ერთი მარცხით ასე არ უნდა აეყარა მასზე გული.

თუ არ ვცდები, ოფიციალურ ოქმში ასე არ ჩაწერილა, მაგრამ ნამდვილად ვიცი, პირველ სუპერფინალს, ფიფას მაშინდელი გენმდივნის და ახლანდელი პრეზიდენტის, იოზეფ ბლატერის იდეის დანერგვის მცდელობა, მატჩისწინა პენალტები რომ უძღოდა, დავით ყიფიანი საერთოდ არ დასწრებია. „დინამომ“ „ბათუმს“ 4:0 ყიფიანის თანაშემწის ნოდარ აკობიას თავკაცობით მოუგო.

ახლა იყო და ხან ერთი გუნდის, ხან მეორის, ხან უამინდობის და ხანაც უდროობის მომიზეზებით ეს მატჩი იმდენჯერ გადაიდო, ზოგი 29 თებერვალსაც ეჭვობდა — რედაქციაში რეკავდა — ჩატარდება სუპერფინალი? და ეს იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ტელევიზიის პირველ არხს კვირაი ადრე დაეგეგმა მატჩის პირდაპირი ტელეტრანსლაცია.

თუკი ყიფიანის განწყობის გამოცნობა გვიწევს, თქმა არ უნდა, ასეთ თამაშზე კიდევ არაერთხელ მოაწერდა ხელს ოთარ კორღალიძე, რომელმაც „დინამოში“ გამთავარმწვრთნელების მერე პირველი სერიოზული წარმატება მოიპოვა.

მწვრთნელთა განწყობისმიერი მსჯელობა იქით იყოს და ვიკითხოთ: რა საჭიროა სუპერფინალი? შევთანხმდეთ, რომ ქვეყნის უძლიერესი გუნდი ჩემპიონია და მიუხედავად იმისა, არის თუ არა თასის მფლობელიც, მისი უძლეველობის დასამტკიცებლად ზედმეტია მატჩი, რომლის გასამართად ფედერაცია 366-ე დღეს ელის.

ვინ იჯდა ტრიბუნაზე

„ტორპედოს“ და მის მთავარ მწვრთნელს ეგებ სუპერფინალში თამაში არ ეხალისებოდათ, თორემ გამარჯვებაზე უარს ვინ იტყვის.

ქუთაისელები გაზაფხულამდე დაუმარცხებლად მივიდნენ — არ წაუგიათ ჩემპიონატში, არ წაუგიათ თასის გათამაშებაში. მაგრამ ერთიცაა, ისინი ზამთრის ბოლო დღემდე „დინამოს“ არ შეხვედრიან.

— რა შეიცვლებოდა, დღევანდელი მატჩი ქუთაისში რომ გამართულიყო — ჰკითხეს „ტორპედოს“ თავკაცს. ყიფიანმა ოხუნჯობა სცადა — ტრიბუნაზე სხვა ხალხი იჯდებოდაო.

ქუთაისის „ტორპედოს“ სტადიონზე, რომლის რეკონსტრუქცია კლუბის სათავეში მიხეილ ქორქიას მისვლის მერე პერმანენტულად მიმდინარეობს, ნამდვილად სხვა მაყურებელი შეავსებდა ტრიბუნებს, მაგრამ მწვრთნელებს აბა ვინ გამოცვლიდა. საშინაო კედლების ფაქტორზე კი საჭიროზე მეტი ყურადღების გამახვილება ამ შემთხვევაში უადგილოა — „ეროვნულის“ ტრიბუნებზე „ტორპედოს“ ქომაგობა სხვებს აშკარად სჭარბობდა.

უარი საჩუქარს

კოლექტიური ართმევით, არჩილ სახვაძის მარცხენაფლანგური გარღვევებით და ჩაწოდებებით, კლიმენტი წიტაიშვილის ზუსტი (რომ არაფერი ვთქვათ უცნაური ტრაექტორიით გატანილზე და 46-ე წუთზე ხარიხადან ეგებ ხაზს შიგნით ჩაშვებულ ბურთზე) დარტყმებით „დინამომ“ იოლად მოუგო ოდენ პირველი ტაიმის ბოლოში გამოფხიზლებულ „ტორპედოს“, რომელსაც მოედანზე ერთადერთი თვალდასადგმელი ფეხბურთელი ჰყავდა — 18 წლის ახალწვეული ნახევარმცველი მალხაზ ასათიანი. და მართალია, ქუთაისელებს „დინამოს“ მეკარე იოსებ გრიშიკაშვილმა ორჯერ უფეშქაშა გატანის შანსი, ვერც ერთი გამოიყენეს, ერთხელ კი გია იმედაძემ საჯარიმო დარტყმით აძგერა ხარიხას ბურთი.

„დინამოში“ ჩანდა რაღაც ახალი, თუნდაც შემადგენლობა, რომელსაც კვიპროსიდან ზედ მატჩის წინ ჩამოფრენილი გიორგი ანჩაბაძის დახმარება მხოლოდ ბოლო ათ წუთს დასჭირდა. ეს ახალი შემადგენლობა აუვიდა „ტორპედოს“ ერთ, ნახევრადამხანაგურ მატჩში, მაგრამ საკითხავია, თუ აუვა საჩემპიონო ბრძოლაში. მით უმეტეს, ძალაა იტალიელი ჯანი კარნევალეს „ბათუმიც“. ყიფიანს კი სჯერა, თავის სიტყვას იტყვიან „კოლხეთი“ და „ვიტ ჯორჯიაც“.

„დინამოს“ კაპიტანი გივი დიდავა

ძველი გაზეთი

ოლიმპიონ გულისაშვილი

ჩემი ეზოს პატარა ბიჭების ძალიან უყვართ ფეხბურთი. ეგ არის, წინა თაობებისგან განსხვავებით ფილ და ლუნე ბურთს აღარ დასდევენ. საღამოს, შუაღ მოვა თუ არა, სადღაც ალარეანის ალაგი ტელევიზორის ეკრანა და კომპიუტერზე თამაში ურჩევნიათ. ბაბისაკენაც ალ ბეგენის წარმეტრიანი ბითხუნები აკეთათ. რიგალლითა და რიო კაზმენ გიდეზანან კარეი ბავშვები არიან, ასე ათი-თორმეტი წლისანი.

ამ ფილ ერთის, რომელიც სხვებზე ტანმორნილი, მაგრამ მოძრაკი, ბირპოფის ხელი მოიტანა. ბირპოფს ხელი ეერთის თასი ეჭირა და ბეგინერი ფიფქებიდა. ბავშვებმა გაიხსენეს, რომ ეერთის წინა ჩემპიონატზე ბერმანიამ სწორედ ბირპოფის ოჭრის ეოლით მოუგო ჩემპიონს. მერე რაღაც თამაშისმაგვარი ეამიდწერეს: ერთმანეთს ეკითხულობენენ, ანა რიგელ ფიფქ ბურთიეულს მოუგეთო ეერთის თასით. ეკითხეულს ელენსმანი, ეან ბასტენი, ბეკენბაუერი. ბეკენბაუერის ეკითხეულ ეკეროა, ეანაკ ანთ ბოხეთ ეიეთ ბეკენეი ფიფქ ეეკეთ. ბეკენბაუერ ეიეთ ბეკენეი ეეკეთ ეეკეთ ეეკეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასპირნეზა ოგონეზეზში

— ბატონო რამაზ, აქეთ რომ მოვდიოდი, უამრავი კითხვა მიტრიალებდა თავში და მართალი გითხრათ, სიიდან დამეწყო თქვენთან საუბარი, ვერ გადამეწყვიტა. ახლა კი, მგონი გამოსავალი ვიპოვე. თქვენი თამაში კარგად მახსოვს, ისიც შემორჩა მეხსიერებას, თითქმის მთელი 90 წუთის მანძილზე რომ მინდორზე „არ ჩანდით", მაგრამ საჭირო დროს ბურთთან გაჩნდებოდით და მეტოქის კარიც დალაშქრული იყო. საფეხბურთო კარიერის დასრულების მერეც თითქოს „მცველებს" ეფარებით, ეტყობა, მოკრძალებული კაცი ბრძანდებით?

— მართალი ხართ, ასეთი ხასიათი მაქვს. არ მიყვარს ზედმეტი ხმაური, საქმის ჩუმად კეთება მირჩევნია.

— რაკი ინტერვიუზე დამთანხმდით, ახლა ჩუმად ყოფნა არ გამოვა. ჩემი თავი რამ გაგახსენათო, წელან რომ გვითხარით, არც მასეა საქმე. ფეხბურთის ქომაგთ რამაზ შენგელია და მისი გოლები ძალიან კარგად ახსოვთ. ჩვენც ამიტომ მოგაკითხეთ, მოდით, გულახდილად ვისაუბროთ და ჯერ ქუთაისით, ბავშვობით დავიწყოთ.

— კი ბატონო, რასაც მკითხავთ, ყველაფერზე მართალს მოგახსენებთ. დავიწყოთ ქუთაისით.

მამა, ფეხბურთი მინდა

— ჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა, ფეხბურთზე ვიყავი შეყვარებული და დილიდან საღამომდე ბურთს დავდევდი. ქუთაისში თითქმის ყოველ კვირას ტარდებოდა ქუჩების პირველობა, გამარჯვებული გუნდები მერე ქალაქის ჩემპიონატში თამაშობდნენ. მართალი გითხრათ, სხვათაგან არაფრით გამოვირჩეოდი, მაგრამ რატომღაც დიდი ბიჭებიც კი თავიანთ გუნდში მათამაშებდნენ. ერთხელაც ჩვენი უბნის (ძველი ქუთაისის რკინიგზის სადგური), პირველობაზე გავიმარჯვეთ და როგორც გითხარით, ქალაქის ჩემპიონატზე ამოვყავი თავი.

მაშინ პირველად ვითამაშე დიდ მოედანზე და ჩემდა გასაოცრად, 90 წუთის მანძილზე ერთხელაც ვერ შევეხე ბურთს. საშინლად იმედგაცრუებული ვიყავი, ბრაზი მახრჩობდა, სახლამდე კი შევიკავე თავი. აი, შინ რომ მივედი, იცოცხლეთ, მოვაღე პირი. ვორიალებ, ღვარღვარად ჩამომდის ცრემლი. გადაირია საწყალი მამაჩემი, არიქა, რა უბედურებაა ჩემს თავსო. ფეხბურთზე მინდა, ფეხბურთზე-მეთქი და გავაბი ისევ ტირილი. ერთი სიტყვით, მანამდე არ მოვისვენე, სანამ მამამ ხელი არ დამავლო და „ტორპედოს" ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში თამაზ კენჭაძეს არ ჩამაბარა. ცოტა ხანში კი ქუთაისური ფეხბურთის პატრიარქთან, კარლო ხურციძესთან აღმოვჩნდი.

— რამაზ შენგელია კარლო ხურციძის აღმოჩენაო, ხშირად მსმენია...

— ასეცაა, კარლო ხურციძემ არა მარტო რამაზ შენგელია აღზარდა. ქუთაისიდან თუ ვინმეს დიდი ფეხბურთი უთამაშია, ყველას მის ხელში გაუვლია. საოცარი კაცი იყო, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული და უდიდესი პროფესიონალი. ქუთაისში გაიგონებდით, კატაქსი „დინამოს" სტადიონთან გაეჩხირა, ნაცნობი სურათია — მანქანების უწყვეტი ნაკადი და აურებელი ხალხი — ყაყანი, ზუზუნი... იყიდება, ვიყიდი, ქირავდება, გირავდება, იაფად, ცეცხლის ფასად, ბიძია დამეხმარე... ერთი სიტყვით, დღევანდელი თბილისის ერთი ჩვეულებრივი დღე. ჰო, მართლა, ბორის პაიჭაძის ეროვნული სტადიონი — ბორჯომის, ლიმონათის, კოკა-კოლა-ფანტას ბოთლებითა და ავეჯის სალონებით გარშემორტყმული საცოდავად მობუზულა. თბილისური თებერვლის გაცრეცილი, სევდიანი ცაც ნაღვლიანად დაჰყურებს...

უკაცრავად, ზედმეტი ბილეთი ხომ არა გაქვთ? ორმაგს გადაგიხდით. დღეს „დინამო" უეჭველად მოიგებს. არიქა, გაგვატარეთ, დაიწყო თამაში, შენგელიამ დღეს თუ გაიტანა, ბომბარდირი გახდება. გაიტანს, გაიტანს... გამოძვრება მცველებიდან და შეაგდებს. აქაც ყაყანი, ზუზუნი, თუმც მხოლოდ ერთი საფიქრალი — „დინამო"! მოიგებს? წააგებს? რას იზამს ყიფიანი? რამდენ მცველს მოატყუებს გუცაევი? გაიტანს შენგელია?

ესეც ნაცნობი სურათია, ოღონდ შორეული, გაცრეცილი, მაგრამ არა ისეთი, მოგონების მტვერი სქლად რომ დაედოს და სულის ერთი შებერვით კვლავ ფერადი და ხასხასა არ გამოჩნდეს.

ტაქსიდან გადმოვედი და ფეხით გავუყევი გზას. დიდუბის ეკლესიასთან რვასართულიანი კორპუსის ერთ-ერთ სადარბაზოში შევედი, სასურველ კარს მივადექი და...

მობრძანდით ბატონო! გულთბილად შეგვხვდა მასპინძელი, შინ შეგვიძღვა და თან სიცილით გვკითხა — ჩემი თავი რამ გაგახსენათო. მერე გემოვნებით გაწყობილი ოთახის ერთი კუთხისკენ მიგვიპატიჟა, აქ დავსხდეთ, რამდენიც გსურთ ვილაპარაკოთო.

გვარიანად მოსუქებული რამაზ შენგელია იმ ძველი, ნაცნობი სურათის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა, სავარძელში მოკალათდა და სმენად იქცა.

— ბატონო რამაზ, აქეთ რომ მოვდიოდი, უამრავი კითხვა მიტრიალებდა თავში და მართალი გითხრათ, სიიდან დამეწყო თქვენთან საუბარი, ვერ გადამეწყვიტა. ახლა კი, მგონი გამოსავალი ვიპოვე. თქვენი თამაში კარგად მახსოვს, ისიც შემორჩა მეხსიერებას, თითქმის მთელი 90 წუთის მანძილზე რომ მინდორზე „არ ჩანდით", მაგრამ საჭირო დროს ბურთთან გაჩნდებოდით და მეტოქის კარიც დალაშქრული იყო. საფეხბურთო კარიერის დასრულების მერეც თითქოს „მცველებს" ეფარებით, ეტყობა, მოკრძალებული კაცი ბრძანდებით?

— მართალი ხართ, ასეთი ხასიათი მაქვს. არ მიყვარს ზედმეტი ხმაური, საქმის ჩუმად კეთება მირჩევნია.

— რაკი ინტერვიუზე დამთანხმდით, ახლა ჩუმად ყოფნა არ გამოვა. ჩემი თავი რამ გაგახსენათო, წელან რომ გვითხარით, არც მასეა საქმე. ფეხბურთის ქომაგთ რამაზ შენგელია და მისი გოლები ძალიან კარგად ახსოვთ. ჩვენც ამიტომ მოგაკითხეთ, მოდით, გულახდილად ვისაუბროთ და ჯერ ქუთაისით, ბავშვობით დავიწყოთ.

— კი ბატონო, რასაც მკითხავთ, ყველაფერზე მართალს მოგახსენებთ. დავიწყოთ ქუთაისით.

მამა, ფეხბურთი მინდა

— ჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა, ფეხბურთზე ვიყავი შეყვარებული და დილიდან საღამომდე ბურთს დავდევდი. ქუთაისში თითქმის ყოველ კვირას ტარდებოდა ქუჩების პირველობა, გამარჯვებული გუნდები მერე ქალაქის ჩემპიონატში თამაშობდნენ. მართალი გითხრათ, სხვათაგან არაფრით გამოვირჩეოდი, მაგრამ რატომღაც დიდი ბიჭებიც კი თავიანთ გუნდში მათამაშებდნენ. ერთხელაც ჩვენი უბნის (ძველი ქუთაისის რკინიგზის სადგური), პირველობაზე გავიმარჯვეთ და როგორც გითხარით, ქალაქის ჩემპიონატზე ამოვყავი თავი.

მაშინ პირველად ვითამაშე დიდ მოედანზე და ჩემდა გასაოცრად, 90 წუთის მანძილზე ერთხელაც ვერ შევეხე ბურთს. საშინლად იმედგაცრუებული ვიყავი, ბრაზი მახრჩობდა, სახლამდე კი შევიკავე თავი. აი, შინ რომ მივედი, იცოცხლეთ, მოვაღე პირი. ვორიალებ, ღვარღვარად ჩამომდის ცრემლი. გადაირია საწყალი მამაჩემი, არიქა, რა უბედურებაა ჩემს თავსო. ფეხბურთზე მინდა, ფეხბურთზე-მეთქი და გავაბი ისევ ტირილი. ერთი სიტყვით, მანამდე არ მოვისვენე, სანამ მამამ ხელი არ დამავლო და „ტორპედოს" ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში თამაზ კენჭაძეს არ ჩამაბარა. ცოტა ხანში კი ქუთაისური ფეხბურთის პატრიარქთან, კარლო ხურციძესთან აღმოვჩნდი.

— რამაზ შენგელია კარლო ხურციძის აღმოჩენაო, ხშირად მსმენია...

— ასეცაა, კარლო ხურციძემ არა მარტო რამაზ შენგელია აღზარდა. ქუთაისიდან თუ ვინმეს დიდი ფეხბურთი უთამაშია, ყველას მის ხელში გაუვლია. საოცარი კაცი იყო, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული და უდიდესი პროფესიონალი. ქუთაისში გაიგონებდით, კარლოს თუ ბავშვი თვალში მოუვიდა, ის უცილობლად კარგი ფეხბურთელი გამოვაო. ღვთის წყალობით ბატონი კარლოს თვალსაწიერში მეც მოვხვდი და სწორედ აქედან დაიწყო ჩემი გზა დიდი ფეხბურთისკენ.

— მანამდე კი იყო ქუთაისის „ტორპედო"...

— „ტორპედოში" ცხონებულმა გიგა ნორაკიძემ მიმიწვია, კაცმა, რომელმაც საკუთარ შესაძლებლობებში დამარწმუნა, ამიტომაც მთელი ცხოვრება მისი მადლიერი ვიქნები.

— უფრო დაწვრილებით ხომ არ გაიხსენებთ იმ დროს?

— სიამოვნებით.

ამას რა უნდა აქ?!

— ქუთაისს მაშინ კარგი გუნდი ჰყავდა. გამოცდილ ფეხბურთელებს — ჯემალ ხერხაძეს, როლანდ ფესტვენიძეს, მერაბ ჩახუნაშვილს, ჟორა აბზიანიძეს ახალგაზრდები — სულაქველიძე, კოსტავა, ბურკაძე, ფარულავა, გაბიჩვაძე და მე დავემატეთ. აქ ორიოდ სიტყვით გაბიჩვაძეზე მოგახსენებთ — ბადრი უნიჭიერესი ფეხბურთელი იყო, საოცარი მონაცემების პატრონი, 15-20 წუთში დაალაგებდა თამაშს, მაგრამ რატომღაც დიდი ფეხბურთი ვერ ითამაშა.

ერთი სიტყვით, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველი ლიგის თამაშები დაიწყო. ნორაკიძემაც ძირითადში დამაყენა. ათი მატჩი ისე გაილია, გოლის გატანა ვერ მოვახერხე. ასეთ რამეს კი ქუთაისელი გულშემატკივრები „ცხ-

ვირმოუხოცავ ბალანას“ კი არა, პელეს არ აპატიებენ. ჰოდა, ყოველი თამაშის მერე არის ერთი ამბავი — „ვინაა ეს ბოვში?!... რა უნდა ამას ტორპედოში!“ — ცხადია, ნორაკიძესაც უწუნებდნენ არჩევანს. ბატონი გიგა კი ჯიუტად ძირითადში მათამაშებდა. მერე, როგორც იქნა, გავიტანე, ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და ქომაგებიც დაწყნარდნენ. ახლა რომ ვიხსენებ იმ დროს, დარწმუნებული ვარ, ნორაკიძეს მაშინ შემადგენლობიდან რომ „ამოვეგდე“, ჩემს კარიერას წერტილი დაესმებოდა. ცხადია, თავიდან წარუმატებლობას ძალიან განვიცდიდი, მაგრამ მწვრთნელის ნდობა მაგულიანებდა და, როგორც მერე გამოჩნდა, ნორაკიძე არც შემცდარა.

— ბატონო რამაზ, ჩვენი საუბარი ისეთი კალაპოტით მიდის, რომ თბილისის „დინამოს“ მივადექით, მაგრამ სანამ ახალკაცზე და „დინამოზე“ ვილაპარაკებდეთ, რამდენიმე ხნით კვლავ ქუთაისში დავრჩეთ. მსმენია, ერთი პირობა რამაზ შენგელიამ ქუჩისკენ გაიხედა, ძმაკაცი ჰყავდა, რომელიც ფეხბურთს ძალიან კარგად თამაშობდა, მაგრამ იგი დღეს „შავი სამყაროს“ ავტორიტეტია, სულაც არ იეზებოდა გასაკვირი, მის ადგილზე შენგელია აღმოჩენილიყო...

— მთლად ეგრე არ იყო საქმე. ცხოვრებაში არაფერი მომიპარავს. ყმაწვილობაში ცოტას კი ვძველბიჭობდი, თუმცა ეს ასაკის ბრალი უფრო იყო, ვიდრე ჩემი ხასიათისა. ძმაკაცზე რომ ბრძანეთ, მართალია. ფეხბურთს ჩინებულად, ჩემზე კარგადაც თამაშობდა, მერე ცხოვრება აეწეწა, თუმცა თავის გზაზე კაცურად დადის.

— კარგი, ახლა, ალბათ, დროა თბილისის „დინამოზე“ ვთქვათ, უპირველესად კი ნოდარ ახალკაცზე — მისი ხასიათის უცნაურობაზე ბევრი თქმულა. თქვენი კარიერის „ოქროს ხანამ“ ახალკაცის ხელში გაიარა და თქვენზე უკეთ მასზე ვერავინ მოგვიყვება.

— ნოდარ ახალკაცი უნიჭიერესი კაცი იყო. ამასთან ერთად საოცრად შრომისმოყვარე, ფეხბურთელებისგანაც იგივეს ითხოვდა. თუმცა მძიმე ხასიათი კი ჰქონდა და მასთან ურთიერთობა არ იყო იოლი. მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, მისი თავდადება, საქმისადმი დამოკიდებულება სამაგალითო იყო. დინამოელებს რაღაც განსაკუთრებული მოკრძალების გრძნობა გვქონდა მის მიმართ. ეგ კი არა, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გახდა და კაბინეტში მიხმო სამსახურის შემოსათავაზებლად, ატუზული შევედი, ჯერ კიდევ მეგონა, რომ ის მწვრთნელია და მე მისი შეგირდი.

ალღიანი მწვრთნელი იყო და ფეხბურთის ყველა წვრილმანი ზედმიწევნით იცოდა. სწორედ მისი დამსახურებაა 1976-81 წლების „დინამოს“ დიდი გამარჯვებები.

— გეთანხმებით, გუნდის წარმატებაში მწვრთნელს ლომის წილი უდევს, მაგრამ ისიც არაა საკამათო, რომ მარტო მწვრთნელმა, თუნდაც გენიოსმა, კარგი ფეხბურთელების გარეშე მაღალი მწვერვალების დალაშქვრა შეძლოს.

— რა თქმა უნდა, არც გეკამათებით. იმ პერიოდის „დინამოში“ მართლაც საუკეთესო ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი, მაგრამ თითქმის ყველას ახალკაცმა ასწავლა რაა დიდი ფეხბურთი. მე მაგალითად, თბილისში გადმოსვლამდე კარისკენ ზურგით მდგარს ბურთი არასოდეს მიმიღია. თითქოს ეს წვრილმანია, მაგრამ ღრმად თუ ჩავიხედავთ საქმეში, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, ისეთი, რომელიც საპირისპიროდ ცვლის გუნდის სათამაშო მანერას. მერე იცით, რამდენს ვშრომობდით ამ დეტალის დახვეწაზე?

აქვე თენგიზ სულაქველიძეზეც გეტყვით. ცოტა ხუმრობასაც გავურევ, ჩემი უახლოესი მეგობარია და არ ეწყინება. 1977 წელს, ჭომა რომ „დინამოში“ გადმოიყვანეს, ყველას უკვირდა, ნეტავ რაში სჭირდება ახალკაცს ეს ნიჩბოსანი, აგერ, ბატონო, ბურთის გაჩერება არ იცის, მკერდზე რომ მოხვდება, რიკოთის უღელტეხილამდე მისდევსო. ბოლოს ვინ აღმოჩნდა მართალი? სულაქველიძე უნივერსალურ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა, მის გარეშე „დინამოს“ გამარჯვება წარმოუდგენელად მეჩვენება.

— კარგი, ხუმრობასა და დინამოელთა ურთიერთობაზე რომ ჩამოაგდეთ სიტყვა. ამაზე კიდევ ვისაუბრებთ, მაგრამ მანამდე ერთი მინდა გკითხოთ. ახალკაცის უცნაურ ხასიათზე კი ლაპარაკობენ ბევრს, თუმცა რატომღაც კონკრეტული მაგალითების დასახელებას ყველა ერიდება...

— დასამალი არაფერია. აგერ ერთ ამბავს მოგიყვებით. ზუსტად არ მახსოვს, რომელი წელია, მოსკოვის „ცეესკას“ ვმასპინძლობთ. მატჩისწინა დღეს სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს თავის ჭკუაში ახალკაცი ცეკას პირველ მდივან ედუარდ შევარდნაძესთან „დაუსმენია“ — გუნდში ყიფიანი, შენგელია, გუცაევი და ჩელებაძე ჰყავს, მაგრამ ოთხივეს ერთად არ ათამაშებსო. ახალკაცმა ეს ამბავი შეიტყო, ჩვენ კი არაფერი ვიცით. გასახდელში შემადგენლობა გამოაცხადა და პირი დავალეთ, ოთხი თავდამსხმელით როგორ უნდა ვითამაშოთ? არც არაფერი გვითხრა. რა უნდა გვექნა, გავედით მინდორზე, პირველი ტაიმი 0:2 წავაგეთ. მეორე ტაიმში ჩელებაძე ნახევარმცველით შეცვალა და გაჭირვებით ფრედ დავასრულეთ მატჩი. მერე გავიგეთ საქმის ვითარება და ისიც გვითხრეს, თუ როგორ გამომწვევად იყურებოდა ჩვენი მწვრთნელი სტადიონის სამთავრობო ლოჟისკენ, სადაც ედუარდ შევარდნაძეს კომიტეტის თავმჯდომარე უმშვენებდა გვერდს. არადა, იმ თამაშის მოგება იოლად შეგვეძლო. თუმცა ახალკაცმა თავისი პრინციპის დასამტკიცებლად მატჩის ბედიღბალი შეაგდო სასწორზე.

— წაგებული თამაშის მერე ასეთ კაცთან გასაუბრება არცთუ სასიამოვნო იქნებოდა.

— თუ აშკარად ფეხბურთელების ჩაგდებული იყო მატჩი, მართლაც ძნელი მოსასმენი იყო მწვრთნელის სიტყვები. არა, ბევრი ლაპარაკით არ დაგღლიდა, ერთს გეტყოდა, მაგრამ ისეთს, მტერს რომ არ უსურვებ.

აქ ერთ ეპიზოდს გავიხსენებ, მისი გმირიც თენგიზ სულაქველიძეა. ერევანში ვეთამაშებით „არარატს“. მოგეხსენებათ, ჩვენი და სომხების

1982 წლის 7 აპრილი. თასების მფლობელთა თასი. უიღბლო ნახევარფინალი ბელგიურ "სტანდარდთან"

1981 წლის 13 მაისი. დიუსელდორფი. რამაზ შენგელია (№11) და დავით ყიფიანი "ჯარლ ცაისის" მცველთა წინააღმდეგ

ურთიერთშეხვედრები გამორჩეულად საინტერესო იყო. ერთი სიტყვით, მინდორზე უშელავაო ბრძოლაა. 1:1-ზე მსაჯმა ჭომას ყვითელი ბარათი უჩვენა, ესეც ადგა და ტაში არ დაუკრა, კაცო! ჰოდა, მოედნიდანაც მიაბრძანეს. დაჯდა სულაქველიძე სათადარიგოთა სკამზე, სად მცალია მის საყურებლად, მაგრამ რამდენჯერაც გავიხედე, ზის და პირჯვარს იწერს. თურმე სკამზე რომ ჩამოჯდა, ახალკაცს ჩვეულებისამებრ, მოკლედ უთქვამს — ახლა ილოცე, რომ ეს თამაში მოვიგოთ, თორე... ამიტომაც იყო, სე ჩვენი ჭომა „რაზდანის" სტადიონზე გამალებით რომ იწერდა პირჯვარს. სხვათა შორის, ის შეხვედრა 4:1 მოვიგეთ.

— ბატონო რამაზ, ასეთ ამბებს რომ მხოლოდ სულაქველიძეზე ყვებით, დავიჯერო, მსგავსი ისტორიები თქვენ არ გადაგხდენიათ თავს?

— ძალიან ბევრიც. აუცილებლად უნდა გითხრათ?

— არაფერს დაგიმალავთო, დაგვპირდით...

— კარგით, სიტყვა სიტყვაა. საბჭოთა კავშირის ნაკრებში ადგილს ვალერი გაზაევი მეცილება. ზუსტად არ მახსოვს, მგონი მურთაზ ხურცილავას გაცილების მატჩია თბილისში. პირველი ტაიმი „დინამოში" ვითამაშე, მეორეში გაზაევის ნაცვლად დამაყენა ნიკიტა სიმონიანმა. მინდა მწვრთნელს თავი მოვაწონო, მთელი ჯიგრით ვთამაშობ. შანსიც მომეცა და ოთარ გაბელიას გოლიც გავუტანე. გადავრიე სიხარულისგან, შემოვურბინე კუნტრუშით მინდორს, მაყურებლის ყიჟინაც მესმის. ერთი სიტყვით, ბედნიერი კაცი ვარ, უცებ — რა გიხარია, ბიჭო, მე გამიტანე ხომ, არ გესმის, მთელი სტადიონი რომ უშვერი სიტყვებით გაგინებს? ოთარ გაბელიას ბრაზისგან დაღრეჯილმა სახემ მიმახვედრა, რატომ გუგუნებდნენ თურმე ტრიბუნები.

— გაბელიამ ასე იოლად შეგარჩინათ წყენა?

— ოთარი ფიცხი კაცი კია, მაგრამ არა ბოღმიანი, თუმცა იმის მერე ჭკუა ვისწავლე, მაგალითად, ქუთაისის „ტორპედოს" წინააღმდეგ თამაშს თავს ვარიდებდი.

— ეგ ყველაფერი კარგი, ახლა კი 1981 წლის 13 მაისზე ვთქვათ.

— დიდი სიამოვნებით. თასების თასის მოპოვება ხომ ჩემი საფეხბურთო ცხოვრების ყველაზე დიდი გამარჯვებაა. იმ სიხარულის სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია. დინამოელთა მაშინდელმა თაობამ, ტრაბახში არ ჩამომართვათ და მართლაც სასწაული მოვახდინეთ. ძალიან კარგი გუნდი გვყავდა. უმაღლესი დონის შემსრულებლებით დახუნძლული — ყიფიანის, ჩიკვაძის, გუცაევის, დარასელიას, სულაქველიძის დარ ფეხბურთელებს ევროპის დღევანდელი უძლიერესი კლუბებიც სიამოვნებით ათამაშებდნენ თავისთან. წელანაც გითხარით და კიდევ ვიმეორებ, ამ ბრწყინვალე ფეხბურთელებს ბრწყინვალე მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი მოძღვრავდა. სწორედ ასეთმა თანამშრომლობამ მოიტანა 13 მაისის გამარჯვება. აგერ თასების მფლობელთა თასის ამ პატარა ასლს ხომ ხედავთ, ასეთი ოცი ცალი დაამზადებინა ახალკაცმა და ფეხბურთელებს ჩამოგვირიგა. ეს თასი ჩემი ოჯახის უძვირფასესი რელიქვიაა.

— ბატონო რამაზ, რაზომლაც მგონია, რომ თასების თასის მოპოვების მერე თქვენს თაობას ფეხბურთი მოყირჭდა, თითქოს მიზანიც აღარ გქონდათ, „დინამოც" ნელ-ნელა უმაღლესი კლასის გუნდიდან საშუალო დონის გუნდად გარდაიქმნა...

— გეთანხმებით, ჩვენ რაც მოსაგები იყო, ყველაფერი მოვიგეთ — საბჭოთა კავშირის თასი, ქვეყნის ჩემპიონატი, ევროპის თასი, მერე ვიტალი დარასელია დაიღუპა, დათო ყიფიანმაც დაანება თამაშს თავი. ალაალად გეტყვით, უგულოდ, უჯიგროდ ვთამაშობდით. ერთადერთი, რაზეც მწყდება გული — ევროპის ჩემპიონთა თასია, არადა, რა კარგად დავიწყეთ, „ლიეერპულს" მოვუგეთ. „ჰამბურგთანაც" ბოლომდე ვიბრძოლეთ, მაგრამ მაშინ გამოცდილება არ გვეყო. ამიტომაც ფეხბურთის დაუწერელმა კანონმა სამართლიანად განსაჯა — ევროპის ჩემპიონთა თასი ჩვენზე ძლიერმა მოიპოვა.

— შენგელია და საბჭოთა კავშირის ნაკრები. კარგა ხნის მანძილზე თქვენ ამ გუნდში შეუცვლელად თამაშობდით, რაც იმ პერიოდში, როგორც ამბობენ, ქართველისთვის არცთუ იოლი საქმე იყო.

— აბა რა გითხრათ, მწვრთნელები მენდობოდნენ და მეც რაც შემეძლო, ვთამაშობდი. 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ნახევარფინალამდე ერთი ნაბიჯიღა გვაკლდა, თანაც მაშინ ნაკრებში ოთხი ქართველი ვიყავით, მაგრამ იმ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა ვეღარ მოვახერხეთ...

— ამას მწვრთნელებს აბრალებენ. ბესკოვის, ლობანოვსკისა და ახალკაცის ერთად დანიშნას, მახსოვს, დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა.

— ამაში საოცარი არაფერია. ისინი ხომ სხვადასხვა ფეხბურთს ქადაგებდნენ. გუნდის მოშზადების თავისებური ხედვა ჰქონდათ, ამიტომაც არავის სჯეროდა მათი შეხმატკბილებული მუშაობისა, მით უფრო, მათ პიროვნულ თვისებებსაც თუ გავითვალისწინებთ.

ჩემპიონატზე ნაკრები არცთუ კარგად მომზადებული ჩავიდა. ქვეყნის ჩემპიონატით გადაღლილ ფეხბურთელებს ამოსუნთქვაც არ გვაცალეს და შეკრებაზე წაგვიყვანეს ესპანეთში. ერთადერთი ახალკაცი ამბობდა, ცოტა დავასვენოთ ბიჭები, ჯერ კლუბებში მოვამზადოთ და მერე წავიდეთ შეკრებაზეო, მაგრამ არ დაუჯერეს. ამიტომაც იყო ბრაზილიელებთან მოგებული პირველი ტაიმის მერე, მეორე ნახევარში არაქათგაცლილები რომ დავაბოტებდით მინდორზე.

— ნაკრებში ძირითადად მოსკოვის სპარტაკელები, თბილისის და კიევის დინამოელები თამაშობდნენ. მსმენია, გამორჩეულად კარგი ურთიერთობა ქართველებს უკრაინელებთან ჰქონდათო.

— თითქმის ყველასთან ვმეგობრობდი. თუმცა, ცხადია, ჩივაძის, სულაქველიძის და დარასელიას გარდა, ყველაზე ახლოს ბესონოვთან და ბურიაკთან ვიყავი. ბლოხინს ყინჩად კი ეჭირა თავი, მაგრამ საერთო ენის გამონახვა არც მასთან გამჭირვებია.

— მართალია, თითქოს ბესონოვი არაყთანაც „მეგობრობდაო"...

— სრული სიმართლეა. დღემდე ვერ გამიგია, როგორ შეეძლო, მთელი კვირა არაყი უზომოდ ესვა, ვარჯიშებზე და მით უფრო კი თამაშზე არაფერი ეტყობოდა. შეეძლო კაცს, სვამდა კიდეც.

— ლობანოვსკი როგორ ეგუებოდა ბესონოვის ასეთ საქციელს?

— ხომ გეუბნებით, ვარჯიშებზე ვერ დაღლიდი, ლობანოვსკისაც სხვა რა გზა ჰქონდა, რასაც ავალებდა, ყველაფერს ხუთიანზე ასრულებდა ბესონოვი.

— ბატონო რამაზ, ახლა ფეხბურთზე ლაპარაკი დავამთავროთ და იმაზე ვთქვათ, კარიერის დასრულების მერე როგორ მოწყვეთ, თქვენს ოჯახზე გვითხარით.

— ზემოთ კი ვთქვი, თასების თასის მოპოვების მერე თამაში მომბეზრდა-მეთქი, მაგრამ ფეხბურთთან განშორება მაინც გამიჭირდა. აქ ერთიცაა, მე ამ საქმის მეტი, ფაქტობრივად, არაფერი ვიცი, ჰოდა, დღესაც ჩემს საყვარელ საქმეს ვემსახურები — საქართველოს ეროვნული ნაკრების ტექნიკური დირექტორი ვარ. ოჯახზე კი იმას ვეტყვით, რომ არა ჩემი მეუღლე ლია ბაბუნაშვილი, იმ უმძიმესი წლების გადატანა მარტოს ძალიან გამიჭირდებოდა. ვაჟი გიორგი კი მოგეხსენებათ, ჩემს კვალს გაჰყვა და ახლა თბილისის დინამოელია. ყველა მონაცემი აქვს საიმისოდ, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშოს, უპირველესად მისი შრომისმოყვარეობით ვარ კმაყოფილი. უმცროსი გოგონა ნატა კი სტუდენტია და ძმის ერთგული ქომაგიც გახლავთ.

— მწვრთნელობაზე არასოდეს გიფიქრიათ?

— ფიქრით როგორ არა, მაგრამ მწვრთნელობა მაინც ვერ გავბედე, ეს ხომ უდიდესი პასუხისმგებლობა, ჯოჯოხეთური შრომაა, თანაც ჩემისთანა დამყოლი ხასიათის კაცისთვის ეს პროფესია აშკარად შეუფერებელია.

— საქართველოს ეროვნული ნაკრების დირექტორს ქვეყნის უპირველესი გუნდის მომავალზე მინდა გკითხოთ...

— ძალიან ნიჭიერი თაობა გვყავს, დათო ყიფიანიც და რევაზ ძოძუაშვილიც უმაღლესი კლასის პროფესიონალები არიან. მაგრამ ჩვენი საფეხბურთო ინფრასტრუქტურა მოშლილია, ასეთ პირობებში კი დიდ წარმატებებზე ფიქრიც კი შეუძლებელია. თუმცა ქართველი კაცის ნიჭიერებისა მაინც მეიმედება. ღმერთმა ინებოს, საქართველოს ნაკრებს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ეთამაშოს. ჩემი ოცნებაც ხომ ესაა — ქართველ გულშემატკივარს 1981 წლის 13 მაისის დარი დღეები მრავალი გაუთენოს ღმერთმა.

თემური და მისი რაზმი

ზურაბ მეძველია

ნიუკასლის „სენტ ჯეიმსიზ პარკზე“ რაც გინდა ევროპული ბობოლა, თუნდაც „ბარსა“ თუ „იუვე“, ასტუმრო, „სანდერლენდთან“ დერბის მაინც მეტი მაყურებელი ეყოლება. ეს ტრადიციაა და არა მარტო ინგლისური — შინაური ჯახი იტალიასა თუ ესპანეთშიც უფრო ფასობს, ვიდრე ევროთასის მატჩი. ასე არ იყო ნეტარ საბჭოეთში და შესაბამისად, ასე არაა საქართველოში, სადაც მთელი სეზონი მავანი გუნდი მხოლოდ იმისთვის წვალობს, ზაფხულის მიწურულს „ფირმა“ გუნდს დაუხვდეს. უკეთეს შემთხვევაში, ორ „ფირმა“ გუნდს.

ჰოდა, რაღაა გასაკვირი, რომ ქართველ ლეგიონერთა უმრავლესობა, ალბათ ინერციით, განსაკუთრებულად სწორედ ევროთასების მატჩებში ლამობს თავის გამოჩენას. აბა, გონების დაძაბვისა და ღრმა განსჯის გარეშე უცბად თქვით — მთლიანობაში რამდენი გოლი ექნებათ გატანილი უცხოეთის კლუბებში მოთამაშე ქართველებს ევროთასების მატჩებში? ახლა ცხრილსაც ჩახედეთ — 53!

პირველი ასეთი გოლი 1991 წლის 2 ოქტომბერს ბუქარესტში გავიდა. „სტიაუა“ უეფას თასის მეორე წრეში უპრობლემოდ გასვლას ლამობდა და ვინაიდან პირველი შეხვედრა კვიპროსზე „ანორთოსისთან“ 2:1 ჰქონდა მოგებული, ეს ამოცანა იოლი ჩანდა, მაგრამ... 84-ე წუთზე, როცა ანგარიში 1:1 იყო, კვიპროსელთა ქართველმა ნახევარმცველმა თემურ ქეცბაიამ მასპინძლებს მეორე გოლი შეუგდო და დამატებითი დრო დაინიშნა. იქ „სტიაუამ“ იმარჯვა, თუმცა ამას ჩვენი წერილის თემასთან საერთო აღარაფერი აქვს.

მაშ ასე, ქეცბაია პირველი ქართველი ფეხბურთელია, ვინც ევროთასებზე გოლი უცხოური კლუბის შემადგენლობაში გაიტანა. მასვე შეგვიძლია ამ განხრით „ყველაზე მნიშვნელოვანი გოლის“ ავტორობაც მივაკუთვნოთ — ზაგრებში დამატებითი დროის ბოლო წუთის შედეგიანმა დარტყმამ მის „ნიუკასლს“ ჩემპიონთა ლიგის საგზური და 10 მილიონამდე გირვანქა შესძინა.

შოთა არველაძე მოსკოვის "სპარტაკს" უტევს

ევროთასელ ლეგიონერ ბომბარდირთა ლიდერი კი, დღეისთვის, შოთა არველაძეა. შოთას ჰეთ-თრიკიც კი გაუხერხებია, თუმცა ამ მხრივ მას საერთო სიაში მეორე ადგილზე მყოფი ზაზა ჯანაშია ჯობნის ორი ჰეთ-თრიქით. თან ჯანაშია ევროთასების ისტორიაშიც შევიდა, როგორც თასების თასის ბოლო გათამაშების საუკეთესო ბომბარდირი (6 გოლი).

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში 53-ივე გოლია აღნუსხული. იმედია, უკვე წლევანდელი სეზონის დამთავრებამდე „ქეცბაიას კლუბი“ ახალ წევრს, გიორგი დემეტრაძესაც შეიმატებს.

შოთა არველაძე 13

95-96 თთ	ჟალგირისი (ვილნიუსი, ლიტვა) - ტრაბზონსფორი	2:2
96-97 უთ	სლოვანი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) - ტრაბზონსფორი	2:1
	ტრაბზონსფორი - სლოვანი (ბრატისლავა, სლოვაკეთი)	4:1
	ბოდიო გლიმტი (ნორვეგია) - ტრაბზონსფორი	1:2
	ტრაბზონსფორი - შალკე 04 (გერმანია)	3:3
97-98 უთ	აიაქსი - მარიბორი (სლოვენია)	9:1 (3)
	უდინეზე (იტალია) - აიაქსი	2:1
	აიაქსი - ბოხუმი (გერმანია)	4:2
	ბოხუმი (გერმანია) - აიაქსი	2:2
	აიაქსი - სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი)	1:3
99-00 უთ	დუკლა (ბანსკა ბისტრიცა, სლოვაკეთი) - აიაქსი	1:3

ზაზა ჯანაშია 12

97-98 თთ	ლოკომოტივი - ქოჯაელისფორი (თურქეთი)	2:1
	შტუტგარტი (გერმანია) - ლოკომოტივი	2:1
98-99 თთ	ცსკა (კიევი, უკრაინა) - ლოკომოტივი	0:2
	ლოკომოტივი - ცსკა (კიევი, უკრაინა)	3:1
	ლოკომოტივი - მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)	3:0 (3)
	ლოკომოტივი - ლაციო (იტალია)	1:1
99-00 უთ	ბატე (ბელარუსი) - ლოკომოტივი	1:7 (3)
	ლოკომოტივი - ლიუნგბიუ (დანია)	3:0

თემურ ქეცბაია 6

91-92 უთ	სტიაუა (ბუქარესტი, რუმინეთი) - ანორთოსისი	2:2
92-93 უთ	იუვენტუსი (იტალია) - ანორთოსისი	6:1
95-96 თთ	სიონი (შვეიცარია) - აეკ	2:2
96-97 თთ	ოლიმპია (ლუბლიანა, სლოვენია) - აეკ	0:2
97-98 ჩთ	კროაცია (ზაგრები, ხორვატია) - ნიუკასლი	2:2
99-00 უთ	ცსკა (სოფია, ბულგარეთი) - ნიუკასლი	0:2

მიხეილ ყაველაშვილი 3

98-99 ჩთ	გრასჰოპერი - ჟენეს ეში (ლუქსემბურგი)	6:0
უთ	გრასჰოპერი - ბორდო (საფრანგეთი)	3:3
99-00 უთ	სლიმა უონდერერზი (მალტა) - ციურიხი	0:3

გოჩა ჯამარაული 3

99-00 უთ	ციურიხი - ლიერსი (ბელგია)	1:0
	ლიერსი (ბელგია) - ციურიხი	3:4
	ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი) - ციურიხი	3:1

დავით ყიზილაშვილი 2

93-94 ჩთ	ომონია (კვიპროსი) - არაუ (შვეიცარია)	2:1 (2)

გიორგი გახოკიძე 2

97-98 უთ	დნიპრო (უკრაინა) - ალანია	1:4 (2)

დავით ჩალაძე 2

99-00 ჩთ	რაპიდი (ბუქარესტი, რუმინეთი) - სკონტო (ლატვია)	3:3 (2)

ლევან ბერიშვილი 2

97-98 ჩთ	კონსტრუქტორული (კიშინიოვი, მოლდოვა) - მპკც	1:1
	მპკც - ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)	2:2

გოჩა გოგრიჭიანი 1

94-95 თთ	ტილიგული (მოლდოვა) - ომონია (კვიპროსი)	0:1

ოთარ კორღალიძე 1

95-96 უთ	ფლორა (ფლორა) - ლილესტრიომი (ნორვეგია)	1:0

მურთაზ შელია 1

96-97 უთ	ალანია - ანდერლეხტი (ბელგია)	2:1

მიხეილ ფოცხვერია 1

97-98 თთ	შახტარი (უკრაინა) - ბოავიშტა (პორტუგალია)	1:1

ლევან კობიაშვილი 1

97-98 უთ	დნიპრო (უკრაინა) - ალანია	1:4

მიხეილ აშვეთია 1

97-98 უთ	ალანია - დნიპრო (უკრაინა)	2:1

კახი კალაძე 1

98-99 ჩლ	ლანსი (საფრანგეთი) - დინამო (კიევი)	1:3

დავით მუჯირი 1

99-00 უთ	შერიფი (მოლდოვა) - სიგმა (ოლომოუცი, ჩეხეთი)	1:1

შენიშვნა: ევროთასებზე გოლი კახა გოგოლაძესაც აქვს გატანილი (სომხური გუნდის შემადგენლობაში), მაგრამ მას თურქმენეთის ნაყრებში აქვს ნათამაშევი და ჩვენ სიაში ამის გამო ვერ მოხვდა.

10 სექტემბერი 1985 წელი

ჟანიორჟაკეტმა პიე ალანმა მწერინელი სამხაკნი მაშინ გაიცნო, როცა ის ჭირდინ სტრანის ცოფავდა. შეხვედრა, შოტლანდიელი ულიანა მ.ს.ს ალეს, არადა შეხვედრა ფრედ რიდ დამთავრდა, სჭოფი მეშლაკანი მსოფლიოს ჩემპიონობზე მოხვდინან. სტრანმა პირველ ტაიმში ცუდად თამაშობ, მისი კლანის ფეხბურთელითვის კი ასეთ მატჩში ცუდად თამაში დაუშვებელია.

მწერინელი ერთი წუთით გადის, მაგრამ გასვლისას შერახსულს ხიტკვას უგდებს, დეივ კუპერთ მეკიკამენტს ოთახში მოთამაშეებთან ბანი თანაშეწე ალეს ფერგიუნონ რჩება.

ფერგიუსონმა ოთახი გადაკეტა და სტრანის მუეზდა. ვრანთის, რომ ფეხბურთელი ნაწყენია.

— რაკ ჯოკამ ვითხრა, ვერ ნიფთვისაა საჭიარო. დღეს შენეტრედან ვერ თამაშობ.

— ვერ ვიეკერტს, რომ მე მომშარა ალე.

— მისმინე ვიერთ, ჯოკა მართალია. დაწყანრდა, ალანეკა კარ ვეგაკვლის, კიდევ ათ წუთს მოგეცეს და შეეცადე ამ ათ წუთში მისი ეკეთ მოგეი.

სტრანანი რაღაცას პასუხს ამბობდა, მაგრამ ბინი და თანაშეწის ხაუარი საშუალებან მწერინელის რაღაცანარად შეცვლელობს ხსამ შეწყდა.

— ალეკს, შეეთეი.

შეხვედრაა. მალე მსაკი მეორე ტაიმის ხაოთამშოდ გაიმბარს გენდეს, ბაასდელში კი საქმანი ეკეთ არაფერი თქმულა. სტრანანი ბალანსდეს ეკეთ ეგ იყო.

ფერგიუსონ სიმხაკეში შედის. მისი და ჯოკის შორი ურთიერთნის ხედეა. მწერინელის ხახე ხერხიუოლ პრობლემაზე მეტყველებს. ბეკერდეთ, ცალლიან გამოშეერილ რაღაც ფიცარზე ხაცოდავად ჩამოშალდარა მეკარე ეთან ლეიტონი.

— საკონტაქტო ლინზა დაუკარგავს — მოკალეჯ ჭრის მწერინელი, მაგრამ ამ ხამ სიტყვაში, უფრო სწორედ ინტონაციაში, რომლითაც კინი წარმოთქვა, ბევრი რამ ეტეკვა. ფაქტობრივად მან თქვა: ალეკს, შენ მატკვარა ყოფილხარ. რატომ მიმალავდი ლეიტონი ახლოშეფეველი რომაა და საკონტაქტო ლინზებთ თამამობს? მისი კლუბის მწერინელს, რომელიც ამ უსინდისოს შეიდი წელიწადია იცნობ, შეუძლებელია ლინზების ამსაკი არ ეცოდინდა. იცოდი და მატკვეხი.

ფერგიუსონმა დაიფიცა, რომ თავადაც დაზაფრულია, მაგრამ მწერინელმა არ დაუუკარა ფრო კი ვალის მსაკი, ალანთ, ხუთ მალე ვაიმბარს გენდეს.

ალეკ კი ვასაკვნა, რაკომ იყო ლეტონი პირველ ტაიმში ასე დაბნეული. ხან ბურთის ტრაკეტორიკი ვერ ვამოიცნო, ხანაც პოზიციის შერჩევაში შეეცდა. ხხეი ვაზა ალარ რჩება, კარში ბის ნაცვალ ალან რაფი ჩადეკ.

— შენ კი, ალეკს, მოგვიანებით დაგვლაპარაკები.

ინინი ოთახში ბრუნდებიან.

ვინ იცის, იქნებ ის ეკმს ფერგიუსონს „ბუკტან“ ტრუბეკი ამაკი ეკაახესეკ, სანინლად ბეკლმოფერი ხაცვალო, რომელიც ბრიტანეთში დიდი ხანა ალარავის ხაოკვამ... მწერინელის გარდა თურმე ის იცვამდა. ეტყოფა, ყველა ვამორენილ ალამიანს მართალეკ თავისი ინიერკი აქვს.

„ბუკტან“ ტრუბეკის ამაკი ორიოდ დღის წინ ხასტეპლის ნიმერანი გარეკვა. მწერინელი ეოოტა ადრე განსარტეკდა. ხალთის ინისტენტებმა პორტეკ სინოვეს ეკოკ სტანის ოთახისკენ გაგეკოსეთ. შეესეკეს ოვალნი წამლის ბოთლი და რაღაც ამეი მოუვდათ. სტანი ეკიკეკეკლეს ეკკვდა. იწკა, ლოგინზე სამაცალი სამოი ეკადეკნინა. „ბუკტან“ ტრუბეკეკ სწორედ იქ შეინიშნეს.

შემდეგ მწერინელი წამოდგა, წამალი ბოთლიდანაკეკ ფალი, ამიე დაიყოფა და მომაკალ მატჩზე დაიწყო საუბარი. ერთი სიტყვით, ტრუბეკს ეკ მეკიკამენტეს თუ არ ნაკეფლეთ განსაკუთრებეკი არაფერი ხდებოდა.

ჩვეულებრივი გასვლათ მეორე დღეკეგზა „ინნან პარკის“. იეტოოუსში მაგნიტოფონი ჩართეს და სტანმა, როგორც ყოველთვის, ინუზოლეს: „ეს რანაირი სიმღერები მოსწონთ, ეს ინბრიანა“. მერე პუზლეთ ჩვეულებს სამგზაური თეკუბეს შეცვალა. დიდი არაფერი.

არადა, თამაში ფრედ რიდ დამთავრეს, შოტლანდიელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედა, მაგრამ ამის ბალეკეკ ვერ გენდე? ულიანა პირველ მატჩში, „ბეკმენ პარკზე“ სჭოფეს. კეფთი ქეკ ასარილნა და იმ დღეს. კიმშარი ფეხბურთელეკს ახლაც ახსოვთ. ინელა ფაშიკეკ ულიანა ყაკა სხურეკ შედგს მაადწეთ, ინიე სტუმრად.

პირველი შეხვედრის სამინლერეკებიდან სჭოფ მწერინელეკს კიდეკ ერთი ერ ამოსდგთ თავიდან თამაშმდე მეტოფის განხილეკიან, კეკი დალეკლშმა ინ რიმსა და მარკ პიუზზე თანაკეფრდეკს არაფერი უთხრა. ასევე მოიკეკა ალან პანსენეკ. ეს ერთეკანი ლიეკრეკეკეკ ოფერტა გაზდდათ — აოც ერთი სიტეკვი თანაკეკეკეკ ლზე, ერთეკნეკ ნაკრეკზეკე კი. ნეტეკ პიუზმა და რაშმეკ თუ უეროგეკეკ პირბაბ?

მაშ ასე, რაშა და პიუზს სჭოფები დაშინეკეთ ჰაკეთ.

„რაშს მიაწეკი. დანამდვილეკთან ვიეკი, რომ მშობარაა.“

„პიუზი სწრაფად ვერ დარჩინ. წინიდან დაუდგეკეკ.“

ფერგიუსონმა სათითაოდ დაუარა მეკვალეკს, მაგრამ თავადაც კარგად იცოდა, რომ ტკეკეკეკეკეკ ამბობდა.

კიდეკ. ალან ქანსენმა ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე ფეხი მტკიკეკო გამოაცხადა და ნაკრეკი მიატოკა. ქანსენი „ეშკარად ფლიოლმდა. სტანი ენნალან გაგიგიდა.

და აი, ახლა ყველაფერეკ ლეტონის ლინზა, სტანანის ცეკეი თამაში და პირველი ტაიმის ამგარიანი ეკმტეკა. შოტლანდიელი გასახდელში პანეკაა, რომლის ჩაჩხრაობას მწერინელი და თანაშეწე მარილაია ცდლობენ, მაგრამ შედეგეკია ოვითონ არ სწმამ. შესეეკნა დამთავრდა.

ხხნა იქ ყოფილა, სადაც არ ეკლიდენ — ალან რაფი. სათადარეკო, არცეოკ განსაკუთრებეკი ნიკეის მეკარე მეორე ტაიმში მოეგანეკე ეკიის ბეკარე ფიერ ეკეკეკ ეკრეკეკ ეკიოს და ყოველი მოგერიკეკ ეკრეკეკ ფარტის მერე ხუმრობს. მეკვალეკეს — ინუმრეკს, მოიგერეკს — ინუ მრეკს... ფეხბურთელეკი მშვიდდებეკან.

სათადარეკოთა ხკაშე ეკ ამ დროს სიჩუმეკ. ხხეკან პიუ ალანი, სტანი, ფერგიუსონი, დარეკტორი ეკიმი სტანეკ და ეკმი სტეკოარტ პილლი. პილეკი ხედავს, რომ ფერგიუსონი რაღაკს ამბობეს, მწერინელეკკ იჭვეს თავს. ეკმი აკეკიდეკ, თუმკეკ დიდი დაკვირვებეკ არ სჭირდეკა. სტანი ბაფეთრონეკეკა, მტკიკ. გაეწკვანებული, შემაშფოთებლად გაშეკეკანეკეკი და კაოფლიანებულია. თამაშეშეკნი ცალი თვალით მოედინ ბაკაკეკრეკნ, ცალით მწერინელს. ყველაფერი ირეკა, ანრი ოფანტეკა, ნერეკეკი უმოწყალო თამაშს იწვეს.

სტანის ფეხბურთელის შეკვალა ეკოა, მაგრამ ხხეკა ის, რაკ არასიდეკ მოიმდინარეკ, ფერგიუსონი ნიკეკეკმ ვერ ოვეკს, ვერ ხეკეკეკ ეკის მაკეკრეკდ ეკის ზეკეკნას აკალეკს მწერინელი. მას ახსოკეკ, რომ სტანის მატჩის ზეკ ფეკეკ ეკეკეკ ეკეკეკ ეკეკეკ, ეკკოკეკ სამშაბი მოკვანეკეკი თუ ჩართვიეკი, ჯო ჯოინსი ფიდი ხხნის ეკოკეკეკეკეკეკ და მეორე ტაიმის ბოლოს შენთან ბრძოლა გიუკეკეკეკეკ, მაგრამ ეის უნდა დაატეკეკეკნოს მინდორზე? შეკეკეკეკეკეკეკ ბოსმა სტანანი გაკლანდა, თავიდან ეკეკეკ ეკეკეკ სტეკ ნეკოლის შეკვალ ხანს და, ალათ, ჯოკეკ ამის გეკეკეკხმაზს.

— არა, ნიკოლი დარჩეს. სტანანი გამოიცვანე — მოეეს ფერგიუოენს.

და სტანი, როგორც ყოველთვის, მართალი გამოდგა. ეკეკლეკნის შეკმეკ „ნინან პარკის“ მინდორზე შოტლანდიის ნაკრები გაკატრდა. ბოსმა ვინ იკის მერამდენედ დადასტურა, რომ მის სადეზერეთო ეროდიციისა და მიხეკერილოსის ზეკანი არ აქვს. თუმკეკ ზოგადად, სტანი უსაფლეთ მაინც სხეკ თეკეკეკის გამო გაბედათ, ის ადამიანთ შეკეთბის ხაკგრეკნი ნიკეთი იყო დაკალილეკეკეკეკ. იკი ყოველთვის ზუსტკეკ გრძნობდა ხანაითაა თუ სხეკეკ რომელი თეკეკეკის გამო, ვინთეკ რა უნდა დაკვალენინა და მართალია სამწერინელო სასწავლეკეკეკეკ არასოდეკ დაემთავრებინა, გაბედათ პირველეკ, ეინე „სეტტიკი“ ზედიზეედ ცხრაკეკეკ მიიეკა შოტლანდიის ჩემპიონის ტატტოლანდე, ხოლო 1964 წელს, ლისაბონში, დაკეკეწყარ შეხვედრაში ბილანის „ინტერის“ წინააღმდეგ ვლაზგოველეკს ეკრონის ჩემპიონთა თასი მოაკეკინა. სწორედ „სეტტიკი“ გახლავთ დიდი კონტინენტური ეკიოლეთს მფლობელი პირველი ბრიტანელი ეკეკეკი.

და მაინც, მთავარი, იქნებ ყოველგვარ ტატტელეკეს უფრო მნიშვნელოვანეკ ეკ სტანისეეკი „ეკეკეკეკის“ შემთვეკნელობა ეკეკ. ასეთი რამ არასდროს მოიხდარა და არც განმეორდება — ეკოკ სტანმა მწვარვალზე ადეკა ვეკნეკ, რომლის ამი ფეხბურთელეკკ „ეკეკეკეკ პარკის“ ეკრანეკეკ უნინდიდან ჰკადეკ შეკრილი. მხლოდ ბიბი ლენოლი დადიოდა ოეკდასიდ ხლიდან...

— ნიკოლი დარჩეს. სტანანეკი გამოიკვანე — მმიმედ წარმოთქვა მან.

მოეგანეკე კი არასიდეკ იკი რა მოხდეკა. მართალია კეკეკრის შეკვალეკ ეკეკლი გიტეკა, მაგრამ ნიშნავს კი ეს იმას, რომ სჭოფები ანგარიშს გაკაანანარებენ და მსოფლიოს ჩემპიონატზე ეკვალენ?

— მმანინე ალეკს, დღეს თუ დავმარეხდებეთ, ეკუნდი მაინც მიიეკეკ მოეეთნის ცენტრში და ხალხს მაგლაბა ეკოსრანეთ. ლინზეკა არ უნდა დაეკარეკეთ, ალეკს. ხხეკ ყველაფერი უნინშეკეკეკა. ეთხოვე, მხლოდ ლინზეკაზე იფიქრე — ფერგიუსონი ბოსის ამ სიტყვეკნ ნამდვილად არ ელოდა. ის ეკოოგნეკეკეკა.

ოთახში დამთავრებამდე ათი წუთი რჩეკა. ფეკეკ სპიდი მოწვანალდეკეკეკ სიკეკრამრეში შერსის, ბერნი ხტეკა და ეკეკ ეკეკეკ მაკეკ ფეკეკ ფეკეკეკ ეკეკ ეკეკ

დგანან:
რასელ ოსმანი, პოლ ვან პიმსტი, მაიკ სამერბი, სილვესტერ სტალონე, ჯონ უარკი, კაზიმეჟ დეინა, სორენ ლინსტედი;

სხედან:
ჰალვარ ტორესენი, ოსვალდო არდილესი, მაიკლ კეინი, პელე, ბობი მური, კოპრინსი

STOP! გადაღებულია!

ყველაზე კარგი კაცი პელე იყო, ის ფორთოხალს კენწლავდა

მიხეილ სურგულაძე

Ofსვიჩ თაუნის მწვრთნელად მუშაობის დროს ბობი რობსონს თათბირი უყვარდა. აქ უბრალო სიყვარულზე არ არის ლაპარაკი, იგი შეპყრობილი იყო. ფეხბურთელებს ვერც კი წარმოედგინათ დღე ცხარე დისკუსიის გარეშე. საუბრის თემა, ტაქტიკით დაწყებული გუნდის სასადილოში შემოტანილი ჩაის ახალი პარტიით დამთავრებული, ნებისმიერი შეიძლებოდა ყოფილიყო.

ერთხელ, 1979-80 წლების სეზონის მიწურულს, როდესაც რობსონმა ვარჯიშის შემდეგ მოსასვენებელ ოთახში თავშეყრა ბრძანა ჯონ უორკს, რასელ ოსმანს, კევინ ბიტის და კიდევ ვიღაცეებს მობეზრების ჩვეული გრძნობა დაეუფლათ. თათბირისგან თავის დასაღწევად ისინი აუცილებლად მოიგონებდნენ რამეს, მაგრამ განკარგულება იმდენად მოკლე და კონკრეტული გახლდათ, რომ ვერ მოასწრეს. რა გაეწყობოდა, შევიდნენ მოსასვენებელ ოთახში, სკამებზე ჩამოსხდნენ და შეფის მორიგი ქაქანის მოსასმენად მოემზადნენ.

მათ გასაოცრად რობსონი სულაც არ იყო ლაპარაკის ხასიათზე. მის ნაცვლად ვიღაც შუა ხნის ცქვიტი ამერიკელი აქაქანდა. ამერიკელმა ფეხბურთელებს თავი ფრედი ფილდსად წარუდგინა და სრულიად მოულოდნელად ასეთი რამ იკითხა: კეთილი, აბა, ვის უნდა კინოში თამაში?

ბიტი, რომელიც ჩვეულად, ოთახის ბოლოში იჯდა და მალულად სიგარეტს აბოლებდა, ასე იგონებს: სიცილი აგვიტყდა, რობსონის მოფიქრებული ხუმრობა გვეგონა, მაგრამ უცნობმა ყველაფერი განმარტა.

ფილდსი „პარამაუნტის“ პროდიუსერი აღმოჩნდა, საქმე კი ფილმ „გამარჯვების“ გადაღებას ეხებოდა. იგი ეძღვნებოდა ტყვეებს, რომლებიც გერმანელ ფაშისტებს ფეხბურთს ეთამაშებიან. გადაღების ადგილად უნგრეთი იყო დათქმული, ხანგრძლივობად — ხუთი კვირა.

ეს რომ თქვა, პროდიუსერმა ამოისუნთქა და დასძინა, სხვათა შორის „გამარჯვებაში“ პელემ, ბობი მურმა, მაიკლ კეინმა და სილვესტერ სტალონემაც უნდა ითამაშონო. ითქვა რეჟისორის შესახებაც — ფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლმი ჯონ ჰასტონს უნდა გადაეღო. „იფსვიჩის“ მოსასვენებელ ოთახში უნდობელი სიცილი „მე მინდას“ ძახილმა შეცვალა.

ფილდსს „მსახიობების“ შერჩევისთვის სულ ორი წუთი ეყო. მან ხუთ იფსვიჩელს — ჯონ უარკს, რასელ ოსმანს, კევინ ოკალაგანს, რობინ ტერნერსა და ლორი საიველს დაადო ხელი. კიდევ ორს, პოლ კუპერსა და კევინ ბიტის სტალონესა და მაიკლ კეინის დუბლიორობა შესთავაზეს.

უნგრეთში ჩასული ფეხბურთელები ბუდაპეშტის „გელეტ ოტელში“ მოათავსეს, სადაც მათ ასევე გამსახიობებულ მაიკ სამერბისთან („სანდერლენდის“ მოთამაშის, ნიკი სამერბის მამა), ოსვალდო არდილესთან, პოლ ვან ჰიმსტთან, ჰალვარ ტორესენთან და კაზიმეჟ დეინასთან ელოდათ შეხვედრა. გადაღება თითქმის დაუყოვნებლივ დაიწყო, ოღონდ მანამდე იფსვიჩელებიცა და სასტუმროში გაცნობილი ვარსკვლავებიც გაკრიჭეს, რათა ომისდროინდელ ტყვეთათვის დაემსგავსებინათ.

უარკი იგონებს: თავიდან გულწრფელად გვეგონა, რომ ჩვენ მხოლოდ ბურთიანი კადრებისთვის ვჭირდებოდით, მაგრამ სცენარი რომ წაგვიკითხეს, მივხვდით, მთლად ეგრეც არ იყო საქმე, ჩვენი პერსონაჟები გვყავდა.

გადაღება საკონცენტრაციო ბანაკის სცენებით დაიწყო. ბანაკი საგანგებოდ ფილმისთვის გახლდათ აგებული და სწორედ ამით აიხსნებოდა, რატომ იღებდნენ მას უნგრეთში — ყოფილ სოციალისტურ ბანაკში დეკორაცია-ნაგებობები შეუდარებლად იაფი ღირდა.

ფეხბურთელები მაინც და მაინც არ დაუტვირთავთ, თუმცა ყოველი სამუშაო დღე დილის 7 საათიდან საღამოს 7 საათამდე გრძელდებოდა. დაახლოებით რვის ნახევრისთვის ისინი ავტობუსით მიჰყავდათ სასტუმროში, სადაც შხაპს მიიღებდნენ და, ვინაიდან წვერის გაპარსვა ეკრძალებოდათ, ასე, რვისთვის უკვე ბარში ისხდნენ.

იფსვიჩელებს, სამერბის სიტყვებს თუ

ბოგი რობსონი სულაც არ იყო ლაპარაკის ხასიათზე. ძის ნაცვლად ვიღაც შუა ხნის ცქვიტი ამერიკელი აქაქანდა. მან ფეხბურთელებს თავი ფრედი ფილდსად წარუდგინა და სრულიად მოულოდნელად ასეთი რამ იკითხა: კეთილი, აბა, ვის უნდა კინოში თამაში?

ვენდობით, განსაკუთრებული ჰონორარი არ მიუღიათ, სამაგიეროდ ბუდაპეშტში მათ ყოფასა და დასვენებაზე დიდი თანხები იხარჯებოდა. სამერბი იგონებს: ლუდი ფაქტობრივად არც დაგვილევია. სულ რჩეულ ღვინოებსა და ვისკის ვეტანებოდით. ყველაფერი ძალიან იაფი ჩანდა, მეფეებივით ვცხოვრობდით.

მიუხედავად იმისა, რომ მსახიობები და ფეხბურთელები ქალაქის სხვადასხვა ბოლოში იყვნენ დაბინავებულნი, ისინი დროის სატარებლად ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. გამონაკლისი სილვესტერ სტალონე გახლდათ. ბიტის იგი ასე დაამახსოვრდა: მართალი გითხრათ, ერთობ ქედმაღალი ვინმე ყოფილა. სადილობისას ყველანი ერთად ვსხდებოდით, ის კი კაცს აგზავნიდა თავისი წილი საჭმლის სადღაც მისატანად.

ბიტისთვის ერთხელ ფილდსს უთქვამს, „როკის“ გადაღებისას სტალონე პლატფორმებს იცვამდა, ცოტა მაღალი რომ გამოჩენილიყოო.

— მართალია — ადასტურებს ბიტი — ძალიან მოკლე კაცი ბრძანდება.

...„გამარჯვების“ იდეისა და სცენარის ავტორი იაბო იაბლონსკი გახლავთ. იმხანად იგი ლოს ანჯელესში, ჰოლივუდ ჰილზში მეუღლესთან, სამ ძაღლთან, ოთხ კატასთან, კურდღელთან და უკმაყოფილების გრძნობასთან ერთად ცხოვრობდა და მის, როგორც უკვე მიხვდით, ერთობ დიდ ეზოს პირადი მცველები მეთვალყურეობდნენ.

აკი გითხარით, იაბლონსკი ძალიან უკმაყოფილო იყო, იმდენად უკმაყოფილო, რომ ვერც კი გადაეწყვიტა, ეჩვენებინა თუ არა საკუთარი მეუღლისთვის ის, რაც მისი ჩანაფიქრისგან გამოიყვანეს. სულ სხვა იდეა ჰქონდა, სულ სხვა ფინალი. „ნიუ იორკ ტაიმზში“ წაკითხულმა სტატიამ იაბლონსკის სცენარად დააწერინა პოლონეთის ერთ საკონცენტრაციო ბანაკში მოთავსებულ ტყვეთა ამბავი. ამბავი ასეთი გახლდათ: გესტაპოელებმა ტყვეებს ფეხბურთში შეჯიბრება შესთავაზეს. ტყვეებმა გამოწვევა მიიღეს... გესტაპოელები აგებდნენ, თავმოყვარეობა ელახებოდათ და ისტორიამ სწორედ აქ მიაღწია კულმინაციას: ნაცისტები სატანურ წინადადებას სთავაზობენ მეტოქეს — მოგვაგებინეთ და შვეიცარიაში გაგაპარებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაგხვრეტთ. შემზარავი იყო ტყვეთა პასუხიც: წადით, თქვენი... ჩვენ უნდა მოვიგოთ.

იაბლონსკისეულ ვერსიაში განწირულთ მატჩის გერმანელი მაყურებელი შველის. ტყვეთა ვაჟკაცობით მოხიბლული ხალხი გესტაპოელებს მათი დახვრეტის ნებას არ აძლევს. თანაც პირველადი სცენარის თანახმად ამბავი ნიურნბერგში ხდება და არა პარიზში, როგორც ეს ფილმშია ნაჩვენები.

მაგრამ სცენარი შეცვალეს. შეცვალეს ავტორის ნებართვის გარეშე, მალულად. განსაკუთრებით აღმაშფოთებელი სტალონეს გმირი გახლდათ. მან, იაბლონსკის აზრით, მთელი მოთხრობის სტრუქტურა დაშალა.

აქ თქვენს ყურადღებას ერთ სახალისო დეტალზეც შევაჩერებთ. ნიუიორკელი რუსი, იაბლონსკი, იმ ადამიანებს განეკუთვნებოდა, ფეხბურთისთვის ცხოვრებაში რომ არ მოუკრავთ თვალი. ავტორებმა დიალოგებისთვის ამიტომაც მიმართეს ბრიტანელ მწერალ სტივენ ჯონსს, თუმცა ამან იაბლონსკი ფეხბურთის შესწავლისგან მაინც ვერ დაიხსნა. საქმე ისაა, რომ მან მოგვიანებით საკუთარი სცენარის ლიტერატურული ვერსია ანუ მოთხრობა დაწერა, რამაც იძულებული გახადა საფეხბურთო წიგნებისთვის მიემართა.

თავად ამბობს: სცენარი იოლი საქმეა, მაგრამ როდესაც მოთხრობას წერ, ვალდებული ხარ ამ ოხერ თამაშზე წარმოდგენა შეიქმნა...

სილვესტერ სტალონე ბოგონასავით სტეფოდა, მაგრამ სწავლას უკადრისობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



პელემ მაკრატელა პირველივე ცდაზე უზადოდ შეასრულა

წარმოდგენის შესაქმნელად თავიდან იაბლონსკიმ ძალიან სქელი წიგნი იყიდა. მასში ბევრი დიაგრამა ეხეტა და ნიუიორკელისთვის ასე უცნობი თამაშის შესახებ ყველაფერი ეწერა, მაგრამ სწორედ ეს ყოფილა საშინელება. მწერალი რაც მეტს კითხულობდა, მით უფრო იბნეოდა.

გამოსავალს ცოლმა მიაგნო. ის სახლიდან გავიდა და უახლოეს მაღაზიაში იყიდა სახელმძღვანელო, რომლის პირველსავე გვერდზე ეხატა ბურთი. იქვე ეწერა: ეს ბურთია, ამით ფეხბურთს თამაშობენ, მისი ზომებია... და ა.შ. იაბლონსკი ძალიან კმაყოფილი დარჩა.

...„გამარჯვების“ გადაღებაზე საუბრისას აუცილებლად უნდა შევჩერდეთ პელეს მაკრატელაზე, სხვანაირად არ შეიძლება. რამდენი დუბლი დაჭირდა ამ გოლის ფირზე აღბეჭდვას?

სამერბი ამტკიცებს, რომ ყველაფერი პირველივე ცდაზე დასრულდა წარმატებით: მაკრატელა მხოლოდ ერთხელ შესრულდა. კამერები ყველგან ჰქონდათ დაყენებული და ყველა ჩართული იყო. ვფიცავ, პელეს დუბლი არ დასჭირვებია.

ბიტი და უარკი სამერბის ნათქვამს ადასტურებენ, თუმცა რასელ ოსმანს სხვანაირად ახსოვს: იმას არ უარვყოფ, რომ პელემ მაკრატელა პირველივე ცდაზე დაარტყა, მაგრამ გოლი არ გასულა. „გერმანელების“ მეკარე ლორი სიველმა თავი მოიკლა და მოიგერია. გოლი მონტაჟია და მეტი არაფერი.

ვინ იცის, შეიძლება ასეც იყოს, სამაგიეროდ პელე იქ მყოფთაგან ყველაზე სასიამოვნო პიროვნება რომ გახლდათ, სამივენი ერთსულოვანნი არიან. ოსმანი იგონებს, რომ პელე საღამოობით მათთან ერთად სვამდა ვისკის და გიტარაზე ბრაზილიურ ჰანგებს აჟღერებდა. უარკი დიდი ხნის მერე, ლონდონში გატარებულ საღამოს მოუხიბლავს — ინგლისის დედაქალაქში რაღაც საქმეზე ჩასულ პელეს იგი გახსენებია და სადილად დაუპატიჟია.

რაც შეეხება ბიტის შთაბეჭდილებას — იმ ფორთოხალთანაა დაკავშირებული, დიდი ბრაზილიელი გადაღებებს შორის თავშესაქცევად რომ კენწლავდა. მსახიობებს, ცხადია, ფეხთ 40-იანი წლების ბუცები ეცვათ, ფეხსაცმელი ლამის კოჭებს ფარავდა, ერთობ მოუხერხებელი რამ იყო, მაგრამ პელეს ეს ხელს არ უშლიდა აიღებდა ფორთოხალს და მთელი 15 წუთის განმავლობაში ხან ფეხს აკრავდა, ხან მხარზე აიგდებდა და ხანაც კისერზე გააჩერებდა — მიწაზე დაუგდებლად.

აი, სტალონეს ოსტატობა კი სავალალო გახლდათ. ერთი მხრივ ეს ბუნებრივიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც მის მასწავლებლად და დუბლიორად გამწესებული პოლ კუპერი იგონებს, „რემბო“ ისე იქცეოდა, გეგონებოდათ მეკარის საქმე მასზე უკეთ იცისო.

ბიტი ხუმრობს: ბურთის გოგონასავით დაჭერას ვინ ასწავლიდა, თუ არა კუპერი მასწავლებელი. სერიოზულად კი ასე იყო, პოლი ყველა ღონეს ხმარობდა, მისთვის გადახტომის წესები რომ აეხსნა, მაგრამ ის უკადრისობდა. მოკლედ, სტალონე, შესაძლოა, ორი ტყვიით ხუთი ათასი კაცის მოკვლაში მართლაც ძლიერია, მაგრამ ფეხბურთისა აბსოლუტურად არაფერი გაეგება.

ფილმის მწვერვალი, ბუნებრივია, ტყვეთა და გესტაპოელთა მატჩი იყო და ეს ყველაზე ძნელი გადასაღები აღმოჩნდა — ორი კვირა დასჭირდა. ფეხბურთზე რეჟისორსაც არ ჰქონდა წარმოდგენა და ამიტომ „პარამაუნტმა“ ექსპერტი დაუქირავა, მაგრამ ვაი ასეთ ექსპერტს — იგი ამერიკული ფუტბოლის სპეციალისტი გამოდგა. მოკლედ, თუ ის, რაც ეკრანზე ხდება, ცოტათი მაინც ჰგავს თამაშს, მხოლოდ და მხოლოდ პელესა და ბობი მურის დამსახურებაა.

უარკი იგონებს, რომ ფილმს ბუნებრიობას კიდევ ერთი გარემოება, კერძოდ „გერმანელების“ თამაშიც აკლებდა. სირთულე ის იყო, რომ გესტაპოელი ფეხბურთელების როლში ავტორებმა მავანი უნგრელები მიიწვიეს, მათ კი პელეს წინააღმდეგ თამაში არ ეპიტნავებოდათ, დიდი ბრაზილიელის თანაგუნდელობა სურდათ.

...საბოლოოდ „გამარჯვებამ“ კინოთეატრებში შეაღწია, საიდანაც პრესის ფურცლებზე გადაინაცვლა და იქ განსხვავებული გამოხმაურებანი ჰპოვა. ზოგი ამბობდა, რომ ფილმი საძაგელია, ზოგი კი მას უბრალოდ ცუდს უწოდებდა. კრიტიკოსები წერდნენ, რომ არაბუნებრივი კადრები მაყურებელს საკუთრივ ამბის რწმენას უკარგავს, მაგრამ სამერბი სხვანაირად მსჯელობს: დიდებული სურათია. რაც უნდათ ის თქვან, მთავარია, რომ მას დღესაც უყურებენ.

ალბათ. ისე კი, რადგან სიტყვამ „გამარჯვების“ ნახვა მოიტანა, ბარემ იმასაც მოგახსენებთ, რომ თავად იფსვიჩელმა ვარსკვლავებმა იგი მოგვიანებით იხილეს — ლონდონში გამართულ პრემიერას არ დასწრებიან. სხვა ყველა მონაწილე დარბაზში იყო, ფეხბურთელები კი ინგლისის პირველობის რომელიღაც თამაშისთვის ემზადებოდნენ და, ვინ იცის, იმ წუთებში იქნებ ბობი რობსონს თათბირზეც ჰყავდა შეყვანილი.

ალბერტო ტომბას სარეცლიდან ალესანდრო კოსტაკურტას სარეცელში

ანუ სალსომაჯორე 91

თარგმნა
ლაშა ჯაფარიძემ

მარტინა ძოლომბარი უშუალოა, საუბრისას სპონტანური. ალბათ, ამითაც არის ლამაზი. იგი ერთ დროს „მის იტალია“ გახლდათ, დღეს კი ტელეეკრანებიდან, სპორტული გადაცემა მიჰყავს. და კიდევ, ცნობილი სპორტსმენების საცოლეობით გაითქვა სახელი. ჯერ ცნობილი სამთო მოთხილამურის, ალბერტო ტომბას მეგობარი გოგონა იყო, მერე „მილანისა“ და იტალიის ნაკრების ფეხბურთელის ალესანდრო კოსტაკურტასი.

მას მშვენიერი ღიმილი აქვს, თავაზიანია, თუმცა ცოტა გამომწვევი. პირადი ცხოვრებაზე ლაპარაკს არ ერიდება.

— გახსოვთ პირველი შეხვედრა ალესანდროსთან?

— როგორ არა. ტელეფონით გავიცანი. ყურმილი ჩვენმა საერთო მეგობარმა მომაწოდა. ძალიან მომეწონა მისი ხმა და უკიდურესი თავაზიანობა. ამ საუბრის შემდეგ ერთ ხანს არ შევხვედრივარ. მალდინისა და სხვა თანაგუნდელებისგან განსხვავებით ალესანდრო ღამის კლუბებს არ ეტანება. დრო რომ გავიდა, საერთო მეგობარმა და ალესანდრომ „იუვე“ — „რეალის“ შეხვედრაზე დამპატიჟეს, რადგან იცოდნენ, რომ შავ-თეთრების დიდი გულშემატკივარი ვიყავი. სწორედ იქ გაიელვა სიყვარულის პირველმა ნაპერწკალმა.

— რით მოგხიბლათ ალესანდრომ?

— ხომ მოგახსენეთ, ის თავაზიანია, კარგად აღზრდილი, ელეგანტური, რაც ფიზიკურ მომხიბვლელობასთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანია. მას ყოჩაღი ბიჭის შესახედაობა ჰქონდა. იცით, მოდის სამყაროში ტრიალს მიჩვეული ვარ და ორიგინალურობა სულაც არ მაკვირვებს. ალესანდრო კი პირიქითაა.

— ამბობენ, რაც თქვენ გაგიცნოთ, ძველებური კოსტაკურტა აღარ არისო.

— ივივეს ამბობდნენ ტომბაზე, როდესაც მისი საცოლე ვიყავი, დღეს კი საკმარისია „მილანმა“ ისე ვერ ითამაშოს, რომ მიზეზის ძებნას იწყებენ. კი მაგრამ, მოედანზე ხომ თერთმეტნი არიან, მარტო ალესანდრო ხომ არ არის. არადა, ჩემს გამო ერთ-ერთ იმ მოთამაშედ გადაიქცა, ყველაზე მეტად რომ აკრიტიკებენ. სინამდვილეში კი ჩვენზე, უბრალოდ, ყველაფერი ცნობილია. ზუსტად იგივე ხდებოდა 60-იან წლებში, მაშინაც იყვნენ ქალები, რომლებიც ფეხბურთელებს ღუპავდნენ.

— სტერეოტიპები...

— დიახ, ფეხბურთელებს ქალები აფუჭებენ... ფეხბურთელები არიან მილიონერები, რომლებიც ღამ-ღამობით მათთან ერთობიან... ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ იცით, რომ მე და ალესანდრო შინ ათ საათზე გვიან არასდროს ვბრუნდებით, რათა ადრე დავიძინოთ. დილით მეც უთენია ვდგები და ალესანდროსავით მთელი დღე ვმუშაობ. საღამოობითღა ვახერხებთ ერთად ყოფნას. ერთს ვიტყვი: საყვარული ძალიან გვეხმარება, რადგან ბედნიერი ადამიანი უკეთესად მუშაობს.

— მოდის ჩვენებები, დღესასწაულები... მუდამ მაღალ საზოგადოებაში ტრიალმა არ დაგღალათ?

— ცოტა ძნელია, მაგრამ ეჩვევი. ყოველდღე ხვდები ადამიანებს, რომლებიც შენს სფეროში მუშაობენ, ესწრები VIP-ის შეხვედრებს, თუმცა ეს რეალური სამყაროდან მოწყვეტას არ ნიშნავს.

— თუ ასეა, აბა, მითხარით, ერთი კილო პურის ფასი.

— ერთი წუთით. ჩემი მეთოდი მაქვს. სუპერმარკეტში საქონლის სამი კატეგორიაა. მე არც ყველაზე ძვირს ვყიდულობ და არც ყველაზე იაფს. პური ხომ? ორი ასეთი ნაჭერი 700-1000 ლირა ღირს.

— ცოტა მეტი, მაგრამ არა უშავს. თემა შევცვალოთ და სალომაჯორე 1991 გავიხსენოთ.

— „მის იტალიის" კონკურსზე გამარჯვება? ბევრი არაფერი მახსოვს. ერთი ის მახსოვს, რომ გამარჯვების შემდეგ გვირგვინი მთელი ღამე პატარა სკამზე მედო, ოთახში კი მონაწილე გოგონასთან ერთად ვცხოვრობდი. ისიც რიჩონედან იყო. კიდევ, მეცხრე ნომერი გახლდით და 24 ფინალისტის გამოძახებისას ბოლოს წინ რომ გამომაცხადეს, ყველაფერზე ხელი ჩავიქნიე. ჰო, მართლა, მეორე დილით ცხოვრებაში პირველი პრესკონფერენცია გავმართე.

— გახსოვთ ვინ იყო ჟიურის პრეზიდენტი?

— ალბერტო ტომბა. მაშინ ჩაეყარა ჩვენს ურთიერთობას საფუძველი. იმხანად სულ სხვანაირი ვიყავი, პატარა გოგო, რომელიც სახელგანთქმულ სპორტსმენთან ერთად ლიცეუმში დადიოდა. ეს ახალგაზრდული გატაცება გახლდათ.

— ტომბას ტიტულების მოპოვების გარდა გემრიელი კერძებიც უყვარს, არა?

— ჰო, ტომბა მშვიდი ადამიანი არ არის. ენერგიით აღსავსეა, საკუთარ თავში დარწმუნებული და ცოტა თავხედიც. მე თუ მკითხავთ, ის ნამდვილი ბოლონიელია, ტემპერამენტიანი. რომ უთხრათ, წადი, ამა და ამ მოთხილამურემ რაღაც მოიგო და ტიტული ჩამოართვიო, მაშინვე გავარდება და გააკეთებს. ძალიან ინსტინქტური კაცია.

— მერე შეხვედრიხართ?

— რამდენჯერმე, შემთხვევით.

— ტომბა იმარჯვებდა და რამდენადაც ცნობილია, ბრაზდებოდა, როდესაც თავის შიშველი სხეულის ფოტოს მოჰკრავდა სადმე თვალს.

— უბრალო სურათები გადავიღე ერთი ჟურნალისთვის, მაგრამ ამან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, რადგან ფოტოები მოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატის დროს, ბოლო კვირაში დაიბეჭდა.

— შიშველი სხეული თქვენც გაღიზიანებთ?



მარტინა პოლომბარი და ალესანდრო პოსტაჟურა

— არა. არსებობს უამრავი ლამაზი სხეული, მაგრამ აქ კარგი ფოტოგრაფია საჭირო, რათა ყველაფერი ვულგარულობაში არ გადაიზარდოს. ვულგარულობას ფერადი ფოტო უფრო უსვამს ხაზს, შავთეთრი კი შედარებით ფარავს.

— თითქოს ფოტოკამერის წინ უკეთ გრძნობთ თავს, ვიდრე ტელეკამერასთან.

— დიახ. მოდის ჩვენებაზე გასვლა იოლია, გაცვია ულამაზესი კაბა და თუ დაღლილი არ ხარ, შენით ყველა აღფრთოვანებულია. ტელეეკრანი კი მძიმეა: სათქმელი კარგად უნდა გაიაზრო, გამართული იტალიურით თქვა და თან ძალიან უნდა იზრუნო იმაზე, რომ მაყურებელს თავი ზედმეტად ჭკვიან ადამიანად არ მოაჩვენო. ყოველი გადაცემის შემდეგ ცუდად მძინავს. ერთ საიდუმლოსაც გაგიხელთ: თავიდან ცენტრალური თავდამსხმელი და ნახევარმცველი ერთმანეთში მერეოდა. კი ვიცი განსხვავება, მაგრამ ეთერში შეცდომის დაშვება ადვილია, ამიტომ ცენტრალურ თავდამსხმელს აღარ ვამბობ. ჩემთვის ისინი ყველანი ფორვარდები არიან.

— და ცენტრალური მცველი იცით ვინ არის?

— არა. ვინ?

— ნუთუ კოსტაკურტამ არ გითხრათ.

— იცით, ალესანდროს ფეხბურთზე არ ველაპარაკები. უბრალოდ ვეკითხები, მართალია თუ არა, რასაც მის შესახებ ტელევიზიაში მეუბნებიან. ჩემი გადაცემის ავტორი ყველაფერს ბრძნული იერით მიხსნის, მაგრამ რაშიც ეჭვი მეპარება, ალესანდროსთან ვაზუსტებ.

— „მის იტალიად" მეცხრე ნომერი რომ არ დაესახელებინათ, ახლა სად იქნებოდით?

— ბოლონიის უნივერსიტეტში. ვისწავლიდი პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, თუმცა სწავლაზე ხელის აღებას არც ახლა ვაპირებ. ერთ დღეს უმუშევრად რომ დავრჩე, ისევ სწავლა-განათლებას დავუბრუნდები.

— მდიდარი ხართ?

— დიახ.

— არჩევნებში ვის მიეცით ხმა?

— აუცილებლად უნდა ვთქვა?

— სრული უფლება გაქვთ არ მიპასუხოთ.

— სიმართლე გითხრათ, ბაბუა მუდამ წითელ დროშაზე მელაპარაკებოდა. სხვა მოხუცებიც ამასვე ქადაგებდნენ, მაგრამ მათი თანამოაზრე ნამდვილად არ ვარ.

— რა გაღიზიანებთ?

— პაპარაცები. მამა ყოველთვის მეუბნებოდა, რომ ეს ის ფასია, პოპულარობის სანაცვლოდ რომ უნდა გადავიხადო. ის მართალია. კიდევ, ძალიან მაწუხებს გამოგონილი ისტორიები. საკმარისია ვინმე უცნობთან დამინახონ, რომ მაშინვე ახალ სასიყვარულო თავგადასავალს მაბრალებენ. ვინც პირადად არ მიცნობს, ალბათ, ფიქრობს, რომ კოლომბარი ერთ კვირას ქერასთან ატარებს, მეორეს შავგვრემანთან, მესამეს ჟოლათან და ასე შემდეგ.

— კმაყოფილი ხართ იმ იმიჯით, ჟურნალ-გაზეთებმა რომ შეგიქმნეს?

— საკმაოდ ზუსტი იმიჯია, თუმცა შეიძლება ოდნავ გამაღიზიანებელიც. განა ახალგაზრდა ქალი, რომელიც სატელევიზიო სტუდიაშია, შეიძლება ზედმეტად საყვარელი, მომხიბვლელი, მუდამ მარტო და უზრუნველი იყოს? სულ ფხიზლად ყოფნა მიწევს.

— რატომ, უბნელ ადამიანებიც გეხვევიან?

— სამწუხაროდ, ასეთი ადამიანებიც არსებობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობენ გოგონები, რომლებიც მათთან კომპრომისზე მიდიან.

— ხომ არ შიშობთ, რომ ერთ დღეს ულამაზო გაიღვიძებთ?

— დიახ, დაჭკნობის ძალიან მეშინია. მამშვიდებს, რომ მეუბნებიან, რაც დრო გადის ლამაზდებიო, თუმცა ვიცი, სიბერეში რაც მელის. ხანდახან ძალიან მომწონს თავი, ხან კი უხასიათოდ ვარ. იცით, კარგად როდის ვარ? სახლში, შორტებით თავისუფლად რომ დავდივარ.

— და არა ქვედაკაბაში?

— ტელევიზიაში მუდმივად ქვედაკაბის ჩაცმას მთხოვენ. საერთოდ, იქ სილამაზეს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იქნებ ეკრანიდან ცოტა შებოჭილიც კი ვჩანვარ, მაგრამ სჯობს შეუცნობი ვიყო, გამოვჩნდე და არც გამოვჩნდე, რადგან ასე ნდომას აღვძრავ.

ავთანდილ სვანიძე

ყველაზე სწრაფი ინდოელი მსოფლიოში

სამშობლოში მას მსოფლიოში ყველაზე სწრაფ ინდოელს უწოდებენ და მიუხედავად იმისა, რომ მიკა ჰაკინენამდე ჯერ კიდევ სინათლის წლებია სავლელი, ნარაინ კართიკეიანს უკვე სპონსორთა მთელი არმია ჰყავს: ავტოკომპანია „ფორდი", ლუდისა და საბურავების მწარმოებელი ფირმები, ნავთობის გიგანტი და, რაღა თქმა უნდა, თითქმის მილიარდი თანამემამულე გულშემატკივარი.

საზღვარგარეთ კართიკეიანს თითქმის არავინ იცნობს, მაგრამ შინ, ბომბეისა და კალკუტის ქუჩებში იგი ნამდვილი სუპერვარსკვლავია. 23 წლის ინდოელის სახე ხშირად ჩნდება სატელევიზიო რეკლამებშიც.

„ეს ჩემს პოპულარობას ძალიან შველის, თანაც ჩვენი მოკრიკეტეები ბოლო ხანებში ცუდად თამაშობენ. გამიმართლა, რომ ამდენი სპონსორი მყავს. მართალია, ინდოეთში ავტორბოლები ძალზე იშვიათია, მაგრამ „ფორდმა" აქ ახალი ქარხანა ააშენა, მოსახლეობის რაოდენობა კი დიდი მოგების მიღების შესაძლებლობას იძლევა."

კართიკეიანის მამა, რომლის ოჯახიც სამხრეთ ინდოეთში მდებარე ქალაქ კოიმბატორეში ტანსაცმელების ფაბრიკას ფლობდა, 70-იან წლებში რალის ეროვნული ჩემპიონი იყო. ნარაინისაც სიჩქარის სიყვარული ბავშვობიდან სისხლში ჰქონდა გამჯდარი და ოთახში თავისი კერპების — აირტონ სენასა და მიხაელ შუმახერის პლაკატები ეკიდა.

16 წლისა იყო კართიკეიანი, როდესაც მშობლებმა საფრანგეთში, ელფ-უინფილდის რბოლის სკოლაში გააგზავნეს. ნიჭიერმა ინდოელმა მალე გამოიჩინა თავი, თანდათან ფორმულის დაბალ ლიგებს ზევით-ზევით აუყვა და გზად სპონსორებიც ბლომად შეაგროვა.

დღეს იგი ჯეკი სტიუარტის ზედამხედველობის ქვეშ ამ უკანასკნელის ახალგაზრდა ნიჭიერ მრბოლთა გუნდში ვარჯიშობს და ფორმულა 3-ის დაპყრობის შემდეგ მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ, ფორმულა 1-ში აპირებს ძალების მოსინჯვას.

„მე მინდა ფორმულა 1-ის პირველი ინდოელი მრბოლი გავხდე. რალი ჩვენთან უკვე დიდი ხანია პოპულარულია და ბოლო ხანებში სატრასო რბოლების ციებ-ცხელებაც დაიწყო. ქვეყანა სწრაფად იცვლება და უამრავი ახალი შესაძლებლობა იქმნება. ვიცი, რომ ადრე თუ გვიან ინდოეთში ბევრი ნიჭიერი მრბოლი გამოჩნდება და მსურს პირველი ვიყო, ვინც წარმატებას მიაღწია."

ფრენკ უილიამსისგან განსხვავებით, რომელმაც 20 წლის თითქმის გამოუცდელი ჯეისონ ბატონი პირდაპირ თავის გუნდში მიიწვია, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი სტიუარტი სხვა მსოფლმხედველობის მიმდევარია. მან წლეულს რევოლუციური წამოწყებით გამოიჩინა თავი — ფორმულა 1-ის „იაგუარის" საჯინიბოს ერთგვარი ფარმ-კლუბი შეუქმნა ფორმულა 3-ში, სადაც მომავალი ჩემპიონები გამოიწრთობიან.

„მინდა, რომ ჩვენი პილოტები ჯერ ცოტათი შეემზადნონ 144 ათასი მაყურებლის თვალწინ რბოლისთვის. არ მინდა ფრენკ უილიამსის გაკრიტიკება, ის ძალიან დიდ რისკზე წავიდა ბატონის აყვანით. ვფიქრობ, არასაჭირო ზეწოლა და სტრესი მხოლოდ ავნებს ახალგაზრდა მრბოლებს, რომლებსაც სწავლისთვის საკმარისი დრო უნდა მივცეთ."

სწორედ ამიტომ კართიკეიანი და მისი თანაგუნდელი, კიდევ ერთი მსოფლიოს ჩემპიონის ჯოდი შექტერის შვილი, 19 წლის ტომასი ჯერჯერობით შედარებით ნაკლები სიმძლავრის მანქანების ხედვნას მიეჩვევიან, სეზონის მეორე ნახევარში კი „იაგუარის" ფორმულა 1-ის ბოლიდების საოცნებო საჭესაც მიუსხდებიან ტესტებზე.

„ფორმულა 1-ის მანქანით მოსახვევთან 180 მილი/საათში სიჩქარით მისვლა და მერე დამუხრუჭება დიდი სიმაღლიდან თოკმობმულად გადმოხტომის ტოლფასია. ეს არაჩვეულებრივი შეგრძნებაა იმათთვის, ვისაც ადრე არ გამოუცდია მსგავსი რამ. ამას წინასწარ მომზადება სჭირდება."

კართიკეიანისა და შექტერისგან კი სტიუარტი არანაკლებს ელის, ვიდრე მისი გამოზრდილი კიდევ ერთი მრბოლის, დევიდ კულჰარდისგან: „თუ ნარაინი წლეულს ფორმულა 3-ში კარგად იასპარეზებს, შინ ნამდვილი ეროვნული გმირი გახდება და ინდოეთში ამ სპორტის განვითარებაში დიდ როლს ითამაშებს. მანაც და ტომასმაც სწორი არჩევანი გააკეთეს აქ მოსვლით და ახლა ყველაფერი თავად მათ ხელშია."

მილიარდიანი ინდოეთი თავისი შუმის გამოჩენას ელის.

ბილი ჯინ ჰინგი და მარტინა ნავრატილოვა

პირველი დაკუნთული ქალი

დიდი სპორტიდან ექვსი წლის წინ წასული მარტინა ნავრატილოვა ისევ აგრძელებს პრესტიჟული ჯილდოების კოლექციონირებას — ამჯერად ის ჩოგბურთის დიდების დარბაზში მიიღეს.

„მარტინას კორტზე, უბრალოდ, ყველაფრის კეთება ეხერხებოდა. ის საუკეთესო იყო" — მოკლე და მეტყველი კომენტარი გაუკეთა ამ ფაქტს პრესკონფერენციაზე ლეგენდარულმა ბილი ჯინ კინგმა, რომელიც ერთი ხანი ნავრატილოვას მწვრთნელი იყო და შეგირდთან ბევრ სხვა რამესთან ერთად საერთო სექსუალური ორიენტაციაც აერთიანებდა.

ლესბოსელ, სათვალიან ჩეხს ისეთი რეკორდები ეკუთვნის, რომელთაც მოხსნა აღარასოდეს უწერიათ: 167 ტიტული ერთეულებში, 165 — წყვილებში, 1438 მოგება ერთეულებში, 1111 — წყვილებში. გარდა ამისა, ნავრატილოვა 331 კვირის განმავლობაში მსოფლიოს პირველი ჩოგანიც გახლდათ (რამიც მხოლოდ შტეფი გრაფს ჩამორჩება).

კომუნისტურ ჩეხოსლოვაკიაში დაბადებული ნავრატილოვა 1975 წელს, აშშ-ის ღია პირველობის დროს დასავლეთში „გაიქცა" და 1981-ში აშშ-ის მოქალაქეობაც მიიღო. კარიერის დასაწყისში იგი ნერვიული, მსუქანი თინეიჯერი იყო, მაგრამ ხანგრძლივი, დაუღლელი ვარჯიშის შედეგად ფიზიკურად ყველაზე უკეთ მომზადებულ, დაკუნთულ ათლეტად იქცა. სწორედ მის შემდეგ წამოვიდა ქალთა ჩოგბურთში ძალისმიერი თამაშის ტენდენციები, რამაც მოსაწყენი, დაუსრულებელი გადაგდებებიდან დებ უილიამსებამდე და ლინდსი დევენპორტამდე მიგვიყვანა.

„მან ქალების ჩოგბურთი ახალ დონეზე აიყვანა. მარტინა პირველი ქალი იყო, რომელმაც სიმძიმეების აწევა და ძალაზე ყურადღების გამახვილება დაიწყო. ის ყველასგან განსხვავებულად თამაშობდა და სხვებიც აიძულა, უკეთ მომზადებულიყვნენ, რათა კონკურენციის გაწევა შეძლებოდათ" — ეს უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონის, იანა ნოვოტნას სიტყვებია.

უკანა ხაზიდან თამაშის ნაცვლად ნავრატილოვა კაცურ, შემტევ ჩოგბურთს მისდევდა, მოწოდების შემდეგ პირდაპირ წინ გარბოდა და ბადესთან უზადო ტექნიკის პატრონი ლამაზად იგებდა გათამაშებებს. თამაშის ასეთი სტილი სწრაფი, ბალახის კორტებისთვის იყო ზედგამოჭრილი და მარტინაც უიმბლდონის ნამდვილი ბატონ-პატრონი გახდა: 1982-87 წლებში ზედიზედ ექვსჯერ (კიდევ ერთი რეკორდი) ჩემპიონი ხდებოდა, ფინალში კი 13-ჯერ გააღწია.

„მარტინას მსგავსად არავინ თამაშობს, რადგან უბრალოდ არ შეუძლიათ. არც მოწოდება იციან ისე კარგად და არც ბადესთან თამაში" — აღნიშნა აშშ-ის ჩოგბურთის ფედერაციის ყოფილმა პრეზიდენტმა რობერტ კელეჰერმა, რომელიც ასევე წლეულს მიიღეს დიდების დარბაზში.

„მან ჩვენს სპორტში მანამდე უნახავი გულწრფელობა შემოიტანა, არასოდეს ერიდებოდა კორტზე ემოციების გამომჟღავნებას და ყოველთვის იმას ამბობდა, რასაც ფიქრობდა" — ეს უკვე ნავრატილოვას უპირველესი მეტოქე და ძველი მეგობარი კრის ევერტია.

რაც შეეხება თავად ჩოგბურთელს, ის ბოლო ხანებში თვითმფრინავებით დაინტერესდა, პილოტის ლიცენზია აიღო და ნოემბერში პირველი სოლო-რეისიც შეასრულა. ნავრატილოვა ხშირად თანამშრომლობს ლესბოსელ და ბისექსუალისტ აქტივისტებთან და ცხოველების უფლების დაცვასაც უთმობს დროს.

უიმბლდონის ცხრაგზის ჩემპიონი და კარიერის მანძილზე 20 მილიონ დოლარზე მეტის მომხვეჭი ძალიან მადლიერია ჩოგბურთის და სურს სპორტს თავადაც გამოადგეს: „დავალებული ვარ, ჩოგბურთისთვის იმდენი არ გამიღია, რამდენიც თავად მივიღე."

ყოველ შემთხვევაში, ნავრატილოვამ მსოფლიოს ახლანდელ პირველ ჩოგანს, მარტინა ჰინგისს თავისი სახელი მაინც მისცა. „მარტინა მას ჩემი საჩოგბურთო მიღწევების გამო კი არა, იმიტომ დაარქვეს, რომ დასავლეთში გავიქეცი" — აქაც პრინციპის ერთგული დარჩა ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი.

დათოს ხელფასი

(პიესა სამ მოქმედებად)

აჭა მორჩილაძე

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი

დათო — დევიდ ბექემი
ვიკა, ამისი ცოლი — ვიქტორია ადამსი
ძია საშა, დათოს უფროსი — სერ ალექს ფერგიუსონი
თედო — ტედი შერინგემი
მოქმედება სწარმოებს სატელეფონო ხაზზე ლონდონი — მანჩესტერი

I მოქმედება

(ვიკა ტელეფონის გვერდით ზის და თითებით „იესთედეის“ მელოდიას აკაკუნებს აპარატზე. თეთრმაიკიანი დათო ნერვიულად მიმოდის ოთახში.)

ვიკა: მაშინ მობილურზე დავურეკავ...

დათო: (ტუჩების კვნეტით) არა, არა, არ უყვარს მობილურზე რომ ურეკავენ. მარტო ცოლი ურეკავს ხოლმე...

ვიკა: რა საშინელებაა, როცა მობილური მარტო იმისთვის გაქვს, რომ შენმა ბებრუხანა ცოლმა დაგირეკოს.

დათო: ვიკა გეხვეწები... არ დაიწყო ეხლა.

ვიკა: ოფისში დავრეკავ. რა მოხდა? ვესტმინსტერში ხო არ ვრეკავ ჩაის დროს? ოფისში დავრეკავ და დაველაპარაკები. ვისაც არ ეზარება, ყველას უმატებს ამ ხელფასს.

დათო: (ღელავს) ეგრე არ უთხრა, ეგრე არ უთხრა...

ვიკა: შენი საქმე არ არის. რასაც ვეტყვი, გაიგებს. შენ საერთოდაც გადი, ბავშვს დახედე, გადია პამპერსზე გავიდა...

დათო: არ უთხრა, არ უთხრა ეგრე. უბრალოდ, აღარ დაგელაპარაკება და მერე მე...

ვიკა: რა ქვია იმ თავგადაპარსულ ბიჭს?

დათო: რომელს?

ვიკა: აი, იმ სოფლელს...

დათო: მიშა... მიშა სილვესტრი.

ვიკა: არა, არა... რაღაც უფრო მოკლე ჰქვია.

დათო: იაპა.

ვიკა: (ხელს აიქნევს) ღმერთო ჩემო. იაპა კი არა, ისა... იაპა კარტოფილის კონცენტრატს ჰქვია.

დათო: არ მახსოვს.

ვიკა: მითხარი რა ქვია!..

დათო: მისმინე, ვიკ, ის ჩემი მეგობარია.

ვიკა: მითხარი რა ქვია!

დათო: თვითონაც კარგად იცი.

ვიკა: მეტი საქმე არა მაქვს, საიდან უნდა ვიცოდე? ან რა შენი მეგობარია? თავისი საქმე კარგად მოაკვარახჭინა? მეგობარი... შენი მეგობრები პოლი და გარი არიან. ფილზე ვერც ვიტყვი, რომ მეგობარია. ღმერთო ჩემო, პოლი ისეთი მოსაწყენია, რამ შეართვევინა ის გოგო?

დათო: ბავშვობიდან უყვარდა.

ვიკა: (თეატრალურად მოხვევს მკლავებს დათოს და კოცნის) შენ ვინ გიყვარდა? რას ფიქრობდი, ჩვენს კლიპებს რომ უყურებდი ხოლმე? ჩემზე რას ფიქრობდი?

დათო: (მოუხერხებლად ითავისუფლებს თავს) მე... მე...

ვიკა: და ეხლა იმ სოფლელის სახელს არ მეუბნები?

დათო: ის ჩვენი კაპიტანია, ვიკ. განა შეიძლება კაპიტანზე...

ვიკა: (უცებ წამოხტება და ტაშს შემოჰკრავს) აღარც მჭირდება შენი ხვეწნა. გამახსენდა... ჯორჯ ბესტი! აი, რა ჰქვია! ჯორჯ ბესტი, რა უაზრო სახელი და გვარია.

დათო: აგერია, ვიკ... ჯორჯ ბესტი ის კაცია, ამასწინათ რომ გამლანძღა ტელევიზორში.

ვიკა: (ჩაფიქრდება) შემეშალა, ხო იცი... ჰო, ის საზიზღარი, გაბურძგნული კაცი. მსახიობი, არა?

დათო: არ დარეკო, ვიკ. გეხვეწები...

ვიკა: (ოთახიდან დენის) წადი, წადი ბავშვს დახედე. მე ვიცი, რასაც ვიზამ... (დათო ძალისძალით გადის და მერე კარის ღრიჭოსთან ჩაცუცქდება. ვიკა აპარატს მიუჯდება) ტოჟე მნე! (ნომერს კრეფს) ბატონი საშა! ეგეც მყავს მელ გიპსონი... ალო! დათოს სამსახურია?

II მოქმედება

(ძია საშას სამუშაო ოთახი. ძია საშა მაგიდასთან ზის და ღიღინებს. რეკავს ტელეფონი. ძია საშა ყურმილს აიღებს)

ძია საშა: გისმენთ... ვინ? დათოს ცოლი ვარო? დათოს ცოლიო? რა უნდა?... ამ ახალგაზრდებს რა მოეკითხებათ, იუჯინ, უთხარი გოლფს თამაშობსთქო... რას ნიშავს დაჟინებით? ...იუჯინ, მათი დაჟინება საერთოდ არ ეკარება ჩემს გულს... რა?... (ამოიხვნეშებს და თავს აქნევს) კარგი, შემაერთე... კარგი... (უფრო მოხერხებულად ჯდება სავარძელში) ჰო... დიახ... კი ვიკა, გენაცვალე... კი, როგორ არ გიცნობ? თუმცა, იმას ვერ ვიტყვი, რომ შენი მუსიკა სიამოვნებას მანიჭებს... რა სთქვი? ჰოო... კი, დათოს თამაში კი მანიჭებს სიამოვნებას... კი... კმაყოფილი ვარ, რა თქმა უნდა, მაგრამ ხომ იცი. სხვათა შორის, მინდოდა შენთვის დამერეკა, ბოლო დროს რაღაც გაფანტულია... რაო, რა სთქვი? შვილო, ვიკა, გენაცვალე, ჩვენი სამსახური ისეთია, რომ ყველა მნიშვნელოვანია. საბავშვო ბაღი კი არ არის, რომ ვეფერო. ჰე-ჰე, ფერებისთვის შენ ხარ, ვიკა, შვილო. შენ უნდა ეფერო... რა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისმინე ვიკა? მე სამი შვილი მყავს, სამივე დათოს ტოლები. მე იმათთვის არ გადამისვია თავზე... მომისმინე, ვიკა! მე... შენ... რა ბრძანე? როგორ?... აჰა, ესე იგი შენი აზრით არა? საბედნიეროდ შენ აზრს ჩვენს საქმეში არანაირი მნიშვნელობა არა აქვს... ჰო-ო? და არც ექნება... მაშინ მოკვდეს ძია საშა, ბიჭები რომ ერთმანეთისგან გამოარჩიოს... ყოფილა, ყოფილა, როგორ არა. დათოც მინახავს ჩასვრილი, მაგრამ... როდის? როდის და შენთვის ეს ჩინურია, ვიკა-გენაცვალე.. როდის გამომირჩევია? აბა, მითხარი... ვინ სოფლელი?... და რაებს ლაპარაკობ?... რას ნიშნავს სოფლელი? სოფლელობამ და ქალაქელობამ დააქცია ეს ქვეყანა... არა, მითხარი ვინ?... გვარი არ გახსოვს? რას ნიშნავს გვარი არ გახსოვს? როცა არ იცი, ნუ ლაპარაკობ... დათო მანდ არის? დაველაპარაკო მინდა... რაო? დათომ არ იცის, რო მირეკავ?... ვიკა, გენაცვალე, დამშვიდდი, დაწყნარდი, შენი გასარჩევი არაა. ცოლი მეც მყავს, მაგრამ... ამას უყურე! გოგო, რა შენი საქმეა საერთოდ? თუ რამე უნდა, დათომ მითხრას. მაგრამ დათო არასდროს მეტყვის, გაიგე? დათო ის კაცი არ არი... როგორ? მე რა ვიცი, დათო ვინ არის? ვერ ვაფასებ? არ ვიცი, შვილო, არ ვიცი. ეგეთი პადხოდიო... აჰა, გაგახსენდა? აბა, მითხარი?... რითი? რით?! ამაზე გაქვთ პრეტენზია? რაიმე? ვიკა! შვილო! მომესმა?... არ მომესმა, ესე იგი... ნეტავ მომსმოდა! ნეტავ, მომსმოდა, გესმის ვიკა? აი, ეხლა ადექი და დათოს კითხე... მე რა უნდა გითხრა? დათომ არ გითხრა, რა ვუთხარი? არ გითხრა?... რაო? რა-ა?!!! დათო მოვიდეს ჩემთან! გესმის? გესმის, გოგო?... არ ვაპირებ არაფრის მოსმენას! აქ აღარ დარეკო, გაიგე? დათო! დათო მოვიდეს... (ყურმილს დაახეთქებს და ოფლს იწმენდს შუბლიდან. წამოდგება და ოთახში გადი-გამოდის) დათომ არ იცის (გამოჯავრებით) ისე რაც მე მაგ შენი დათოს... (ხელს ჩაიქნევს) ქალის ჭკუაზე რო კაცი გაივლის... (მაცივრიდან მინერალური წყლის ბოთლს გამოიღებს და იყუდებს) ეგეთი დათო ოცი მყავდა აბერდინში. ფუი! ამ უქმე დღეს, ეს ტელევიზორის გოგო. ურჩევნია კაბა დაუგრძელოს. „ვიკამ მითხრა“, „ვიკამ თქვა“. ვიკას დედა არ... ვინ არი ვიკა? ვიკამ რა იცის? ეს ქაჯი გოგოები (გამოჯავრებით ცეკვავს „სფაის გერლზის“ მსგავსად) აი, ვიკა... ფეხებზე მკიდია ყველა ვიკა...

III მოქმედება

(ვიკა კმაყოფილი ეწევა სიგარეტს. დათო ჩქარ ბოლთას სცემს.)

ვიკა: ძალიან კარგი... იცოდეს.

დათო: არ უნდა დაგერეკა... არ უნდა დაგერეკა...

ვიკა: (უდარდელად) რო გამახსენდა? ჯორჯ ბესტიო და გამახსენდა რომ... რა ქვია? ვაიმე, ისევ დამავიწყდა. ვერ ვიმახსოვრებ ამ სოფლელების გვარებს. თან როგორ იქაჩებიან.

დათო: (დაღონებული ჩამოჯდება) რა მივა ხვალ იქ?

ვიკა: არაფერიც! (სიგარეტს ჩააქრობს) ნახე რა დამტკბარი შეგხვდეს! კიდევ დავურეკავ (დათო ხელებში ჩარგავს თავს. ამ დროს ქუჩიდან ძახილი მოისმის: „დათო!“) ვინ ჯანდაბაა? (დათო მხრებს იჩეჩავს. ისევ მოისმის: „დათო!“ დათო წამოდგება ფანჯარასთან მივა და დამძახებელს ხელს აუწევს.)

დათო: ამო! ამო!

ვიკა: ვინ არის?

დათო: (გახარებული) თედოა!

ვიკა: მერე რას ეძახი? რა უნდა? (ფანჯარასთან მიდის და ცალყბად იღიმება) გაუმარჯოს თედოს! ახალი მანქანა გიყიდია?

თედო: (მხიარულად) გამარჯობა, ვიკა, ჩემი გოგო...

ვიკა: ამოდი...

თედო: ვერა... შენი ძვირფასი ქმარი გვაჩუქე ერთი საათით.

ვიკა: კი ბატონო (ფანჯარას მოშორდება დაბოღმილი)

თედო: (დათოს) ვაწყენინე, აი! (დათო ცდილობს რაღაც ანიშნოს) რა? ჩამო, ერთი, ჩამო.

(დათო ოთახში შემობრუნდება, სვიტერს გადაიცვამს.)

ვიკა: მიყვები?

დათო: რა ვქნა?

ვიკა: მაგას თავი ქუდში აქვს. მაგან თავისი გააკეთა. ეხლა დაქრიალობს წინ და უკან. შენ რა ხეირი?

დათო: ერთ საათში მოვალ, ვიკ... საქმე აქვს.

ვიკა: საქმე. ეგეთ ადამიანებს ერთი საქმე აქვთ, მარტო დალევა ეზარებათ...

დათო: მე ხო არ ვსვამ, ვიკ?

ვიკა: (საათზე დაიხედავს) ერთ საათში! არ გადაიცილო...

დათო: (გახარებული) გავიქეცი (კოცნის და კიბეზე ჩარბის. თედო ელოდება მანქანასთან მდგომი. ერთმანეთს გადაკოცნიან) ვა, მაგარია! (მანქანას ათვალიერებს დათო.)

თედო: დაჯე, გავიგულაოთ...

დათო: (მოწყენით) ვერ ვსვამ, თედ...

თედო: (სიცილით მოხვევს მხარზე ხელს) როდის იყო რო სვამდი? წამო ისე, ვჭამოთ რამე... (დათო უნდობლად უყურებს) რა იყო, ხო მშვიდობაა?

დათო: დაურეკა...

თედო: ვის?

დათო: ძია საშას...

თედო: საღოლ.

დათო: რა საღოლ, დაუკიდა.

თედო: (თავს აქნევს) მაგარია ვიკა. გამოგადგა, ხო იცი...

დათო: (ხელს ჩაიქნევს) რა ვიცი...

თედო: დაჯე, დაჯე, ხვალეც ამ თვისაა. დაჯე, ისეთი ალაგი მეგულება სოჰოში... (მანქანაში სხდებიან)

დათო: სოჰოში ახალი რა უნდა იყოს?

თედო: (ქოქავს) შენი გამკვირვებია... ახალგაზრდა ბიჭი ხარ... გაიცინე, გაიგულავე. (ხითხითებს) ისე საშას ეგრე შეულაგო, მალადეც, ძმაო. ვიკას ვენაცვალე! იმიტო მიყვარს... (მანქანა დაიძრება და სცენაზე გაქროლდება. მოისმის დათოს ხმა: „ერთ საათში უნდა მოვიდე.“)

ფარდა

F1

12 მარტს ფორმულა 1-ის მორიგი, 51-ე ჩემპიონატი იწყება. ასპარეზობა ტრადიციულად მწვანე კონტინენტზე რბოლით გაიხსნება. წლევანდელი სეზონის კალენდარში 17 ეტაპია — შარშანდელებს აშშ-ის დიდი პრიზის გათამაშება დაემატა. ოკეანისგაღმელები ცხრაწლიანი იზოლაციის შემდეგ დაუბრუნდნენ „სამეფო რბოლებს“. დებიუტი ამერიკელთათვის ლეგენდად ქცეულ ინდიანაპოლისის „ოვალზე“ სექტემბრის ბოლოს შედგება.

17 ეტაპი სარეკორდოა და აქამდე მხოლოდ სამჯერ (1977, 95, 97) ყოფილა. სხვათა შორის, წლევანდელი კალენდარი ერთ-ერთი ყველაზე „მოწესრიგებულია“ — წინა სეზონებისგან განსხვავებით, რბოლებს შორის თანაბარი, მხოლოდ ორკვირიანი პაუზებია. ეს კი ჩემპიონატს უფრო საინტერესოსა და „ცოცხალს“ გახდის.

ფავორიტებად, ცხადია, კვლავ „მაკლარენი“ და „ფერარი“ და მათი ლიდერები, ორ-ორგზის ჩემპიონები მიკა ჰაკინენი და მიხაელ შუმახერი რჩებიან. თუმცა ჰაინც ჰარალდ ფრენცენის და დევიდ კულჰარდის სახით მათ სერიოზული კონკურენტები ეყოლებათ. არც ედი ირვინი, რუბენს ბარიკელო და რალფ შუმახერი არიან ხელწამოსაკრავი მეტოქეები.

2000 წლის კალენდარი

	დიდი პრიზი	ტრასა
12 მარტი	ავსტრალია	მელბურნი
26 მარტი	ბრაზილია	ინტერლაგოსი
9 აპრილი	სან-მარინო	იმოლა
23 აპრილი	დიდი ბრიტანეთი	სილვერსტოუნი
7 მაისი	ესპანეთი	ბარსელონა
21 მაისი	ევროპა	ნიურბურგრინგი
4 ივნისი	მონაკო	მონტე კარლო
18 ივნისი	კანადა	მონრეალი
2 ივლისი	საფრანგეთი	მანი კური
16 ივლისი	ავსტრია	A1-რინგი
30 ივლისი	გერმანია	ჰოკენჰაიმი
13 აგვისტო	უნგრეთი	ჰუნგაროორინგი
27 აგვისტო	ბელგია	სპა-ფრანკორშამპი
10 სექტემბერი	იტალია	მონცა
24 სექტემბერი	აშშ	ინდიანაპოლისი
8 ოქტომბერი	იაპონია	სუძუკა
22 ოქტომბერი	მალაიზია	სეპანგი

გუნდები და პილოტები

ფერარი
მიხაელ შუმახერი, რუბენს ბარიკელო

მაკლარენი
მიკა ჰაკინენი, დევიდ კულჰარდი

ჯორდანი
ჰაინც ჰარალდ ფრენცენი, იარნო ტრული

იაგუარი
ედი ირვინი, ჯონი ჰერბერტი

უილიამსი
რალფ შუმახერი, ჯენსონ ბატონი

ბენეტონი
ჯანკარლო ფიზიკელა, ალექსანდრ ვურცი

პროსტი
ჟან ალეზი, ნიკ ჰიდფელდი

BAR
ჟაკ ვილნევი, რიკარდო ზონტა

ეროუსი
პედრო დე ლა როსა, იოს ფერსტაპენი

ზაუბერი
პედრო დინიცი, მიკა სალო

მინარდი
მარკ ფენე, გასტონ მაცაკანე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ არის მძიმე წონის უძლიერესი მოკრივე?
რა თქმა უნდა, ლენოქს ლუისი — უდავო ჩემპიონი.
და მასთან შეტოქება ვის სძალუძს?
ევანდერ ჰოლიფილდს, მაიკ ტაისონს...
ეს ცოტა მოძველებული ლაპარაკია, რადგან ამ ორმა ოდინდელმა ჩემპიონმა და ლეგენდა-კაცმა ჯერ ახალ თაობასთან უნდა გაარკვიოს ურთიერთობა. ახალი თაობა კი ისეთი მოდის, რომ კარგახანია არ ყოფილა მძიმე წონაში.
სულ ცოტა სამი მძლავრი ჯეელი დგას დიდი ტიტულების პირად და მათი გავლა იგივ ტაისონს ძალიან გაუჭირდება. გაუჭირდება კი არა, მეტიც...
პენსილვანიელი მაიკლ გრანტი — ოცდაათ ბრძოლაში წაუგებელი, ნიუ ჯერზიში მცხოვრები ოკეანეთელი, ახალზელანდიის მოქალაქე დევიდ ტუა — ერთადერთი მარცხით და ოცდათოთხმეტი გამარჯვებით, ოც ბრძოლაში დაუმარცხებელი ნიგერიელი აიკ იბეაბუჩი, რომელსაც საცხოვრისად დალასი აურჩევია...
აი, სამეული, რომელიც ერთმანეთში ცდილობს ურთიერთობის გარკვევას, მერე კი უფრო მაღლა აიწევს.
ორი ათასი წლისთვის ჟურნალ „რინგის" განთქმულ რეიტინგში იბეაბუჩის, გრანტს და ტუას მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილები უჭირავთ. ამათ წინ მხოლოდ ლუისი და ჰოლიფილდი არიან, შემდეგ კი — ტაისონი.
ვილაპარაკოთ ნიგერიელის შესახებ, ვინაიდან, მიგვაჩნია, რომ თუ ამ იბეაბუჩიმ ცხოვრებას თავი მოაბა და მოკრივეთათვის ჩვეულ თავცარიელობას რაიმეთი უწამლა, მძიმე წონის მსოფლიოს ჩემპიონი სწორედ ნიგერიელი იქნება.

უბილეთო მგზავრი

აიკ იბეაბუჩის ცხოვრება და ხუმტური

ირაკლი გამყრელიძე

დიდი, ცუდი მგელი

ეს ახალგაზრდა კაცი ან ლას ვეგასისა და დალასის ციხეებში ზის და მეთავდებებს ელოდება, ან სახლშია და პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ვახშობს.

აიკ იბეაბუჩი დიდ ქალაქში შემოხეტებულ ავთვალა ცუდ მგელს ჰგავს. ცდილობს ტყის კანონები შემოიტანოს ყოფაში. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამას წინასწარგანზრახულად აკეთებდეს, მაგრამ ამას რომ არ აკეთებდეს, ვინ იცის, უკვე რა სახელის კაცი იქნებოდა. მისი ქცევები მის კრივს დიდად ვნებს.

განთქმულმა პრომოუტერმა ბონ არუმმა მასთან ლაპარაკის შემდეგ განაცხადა: „ამ არსებასთან საქმის დაჭერა შეუძლებელია."

რატომ?

იმიტომ, რომ აიკ იბეაბუჩის არაფერი გაეგება ცხოვრებისა. მაგალითად, ის ფიქრობს, რომ დაუყოვნებლივ უნდა შეახვედრონ ლენოქს ლუისს და ვერ ხვდება, რატომ არ ახვედრებენ. ვერ გაუგია, რომ პროფესიულ კრივს თავისი კანონები აქვს. როცა ამის ახსნას შეეცდებიან, ძალიან ბრაზობს და ამბობს, სულ არ მინდა ეგ თქვენი კრივიო.

იერით ძალიან ჰგავს კრივის ოდინდელ დათვს, განგსტერთა ძმაკაცს სონი ლისტონს, წარსულის დიდ ჩემპიონს, თვალებში კი მაიკ ტაისონის სიავე უდგას.

საშიშია არა?

იბეაბუჩი ძირითადად სექსუალურ დანაშაულებსა და ქურდობა-გატაცებაში იმხილება.

გასულ წელს, შუა ზაფხულში ლას ვეგასში იგეგმებოდა ახალთაობის უდიდესი და გადამწყვეტი ორთაბრძოლა: იბეაბუჩი გრანტს უნდა შებმოდა და ამით ბევრი რამ გაირკვეოდა. ბრძოლამდე ორი დღით ადრე პოლიციაში სიგნალი მივიდა, სასტუმრო „ძირაჟის" მოახლე გოგოს მოკრივემ გაუპატიურება დაუპირა. პოლიციელები სასტუმროში მიცვივდნენ და იბეაბუჩის ნომრის კარი შეამტვრიეს. საბაზანოში შეკეტილი მოკრივე იქიდან გამოსვლას უარობდა. ბოლოს ცრემლსადენი გაზი შეუშვეს და გამოიყვანეს. ბრძოლა ჩაიშალა, იბეაბუჩი კლარკ ქუნთის ციხეში მიაბრძანეს. მისმა მწვრთნელმა კურტის კოუკსმა ლამის იტირა, როგორ შეუძლია ყველაფრის წყალში გადაყრაო.

პრომოუტერმა სედრიკ კუშნერმა იმ ბრძოლის შემდეგ განაცხადა, წავიდეს, დაიკარგოს იმ თავის ნიგერიაშიო.

ჯერ კიდევ უცნობ იბეაბუჩის ბარე სამი ასეთი შემთხვევა ჰქონდა. თექვსმეტი ბრძოლა ისე ჩაეტარებინა ამერიკაში, რომ არავინ იცნობდა, პოლიციელთა გარდა. დიდმა საკრივო ნიჭმა მაინც დააინტერესა საკრივო საქმოსნები და 1997 წელს მისი და იმ დროს მართლაც ამომავალი ვარსკვლავის, ტუას შეხვედრა მოეწყო. იბეაბუჩიმ ერთხმად იმარჯვა ქულებით და საკრივო სამყარო გააოცა.

მაგრამ ამ ამბიდან ორ თვესაც არ გაევლო, რომ თავის ყოფილ შეყვარებულს მცირეწლოვანი ვაჟი მოსტაცა და მისი

იბეაბუჩი დევიდ ტრუას ებრძვის

THE RING

ეროვნული ბიბლიოთეკა

THE RING

იბეაბუჩი ბერდს ებრძვის

მანქანით გასეირნება მოიწადინა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ტარებაში არცოუ დახელოვნებულმა აიკმა 100 კმ/სთ სიჩქარით გააქროლა მანქანა, ავარია მოახდინა, ბავშვიც დალეწა და თვითონაც დაილეწა.

მერე კიდევ ერთხელ დაიჭირეს ლას ვეგასში, „თრეჟა აილენდის“ სასტუმრო-კაზინოში მორიგ მოახლეს ეპოტინებოდა.

ტუასთან გამარჯვების შემდეგ ბარე ცამეტ თვეს არ უჩხუბია, შემდეგ კი რინგს დაუბრუნდა და ზედიზედ დაამარცხა იმ ყაიდის მოკრივენი, ამერიკაში რომ „გასახედნ ცხენებს“ უწოდებენ.

მერე დალასის აეროპორტში დაკავეს, უბილეთო იწევდა თვითმფრინავში ჩასაჯდომად და უაზროდ იმეორებდა: „უნდა ჩავჯდე, თქვენ ხელს ვერ შემიშლით“. „აქ ნიგერია არ არის, შვილო. აქ სხვა წესებია.“ კოუკსი უკვე დაიღალა ამ სიტყვების გამეორებით.

„შვილი“ კი უკვე ოცდაექვსი წლისა მოყრილა.

პრეზიდენტი

კოსტუმს რომ მოირგებს ხოლმე აიკი, კაცსა ჰგავს. მეტსახელად პრეზიდენტი შეურჩიეს. როცა ეს სიტყვა ესმის, დადნება ხოლმე: „მე პრეზიდენტი ვარ.“ ამიტომ, ჟურნალისტებს ურჩევენ, ამ მეტსახელით მიმართონ. ეტყვი ამ სიტყვას და კეთილგანწყობა გარანტირებული გაქვს.

მის უვარგის თვისებათაგან ეჭვიანობას გამოარჩევენ.

ერთხელ, ფინიქსში, სპარინგპარტნიორმა ეზრა სელერსმა წარბი გაუხეთქა ვარჯიშისას. გასახდელში იბეაბუჩიმ შეამჩნია, როგორ ისწორებდა თითზე ეზრა საქორწინო ბეჭედს. აიკი აუხირდა, გინდა თუ არა, ემაგ ბეჭდით მეკრივე და წარბიც იმიტომ გამისკდაო. ეზრა უარობდა, მაგრამ სანამ ხალხი შუაში ჩადგა, სელერსი საავადმყოფოში წასაყვანი შეიქნა.

იმხანად აიკი დევიდ ბერდის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა და ფინიქსიდან სიეტლს უნდა გაფრენილიყო. თვითმფრინავში ასვლის წინ თავი მოუკლავს, მე მაგით ვერ გამოვფრინდები, მთელი სალონი ავი სულებით არის სავსეო. ისეთი შეშინებული ყოფილა, რომ მართლაც დაუტოვებიათ აეროპორტში და გვიან რეისს გამოჰყოლია.

მერე იყო და სასტუმროს ნომერში გამოკეტილა, აწონვაზე არ გამოვცხადდებიო. კოუკსისა და კუშნერის მუდარა არად ჩაუგდია, რა საჭიროა აწონვა, ისედაც ხომ მიცნობენო. მისიანებს უეშმაკიათ, ქვემოდან დაურეკავთ ნომერში და უთქვამთ, ბატონო პრეზიდენტო, ეგებ აწონვაზე ჩამობრძანდეთო. ამ „პრეზიდენტოს“ გაუჭრია.

იბეაბუჩის ძალიან არ მოსწონს, რომ ყველაფერში ფული უნდა გადაიხადოს.

„აქ ბილეთი უნდა აიღო“, სულ ტყუილად უხსნიან.

ნიუ იორკში ყოფნისას კუშნერს მისთვის სამი ათასი დოლარი მიუცია, ჩასაცმელი რამე იყიდეო. აიკიც მანჰეტენის ერთ-ერთ ბუტიკში შესულა, ექვსასი დოლარისა უვაჭრია და როცა უთქვამთ, აბა ფულს ჩამოდიო, ყველაფერი დაუყრია და გამოქცეულა.

სისულელე სისულელედ და იბეაბუჩი მოკრივეა

ამ არეულ გზებზე სიარულისას მან თავი წარმოადგინა როგორც საუკეთესო დაცვითმა მოკრივემ მძიმე წონაში. მისი მძლავრი ცაცია აპერკოტი სრულიად უნიკალური რამ არის. მას აშკარად ეკუთვნის მრავალმილიონიანი კონტრაქტები, მაგრამ, ცარიელი თავის გამო, ძნელად სანდო ვინმეა.

„ეიჩბიოუს“ ქსელის ექსპერტი ლუ დიბელა ამბობს, რომ იბეაბუჩი დღეს საუკეთესო პრეტენდენტია, მაგრამ მისი პრობლემა ისაა, რომ ახლავე სურს საჩემპიონო ბრძოლა. მას არ ესმის, როგორ მუშაობს საკრივო ბიზნესი და ამიტომ გული გაუტყდება ხოლმე.

იბეაბუჩის წინა აქვს რამდენიმე სასამართლო პროცესი, რომელთა ბოლოც, შესაძლოა, გრძელვადიანი პატიმრობა იყოს. ამიტომ, უდავოდ საუკეთესო პრეტენდენტის მომავალი ბურუსითაა მოცული. თანაც, აშკარად ჩანს, კრივი არასოდეს ყოფილა ამ ნიგერიელი გოლიათისთვის ცხოვრების საქმე.

„თქვენ მხოლოდ მზა ნაწარმს ხედავთ“ — ოხრავს კოუკსი — „თქვენ არ იცით, რა ძალისხმევა სჭირდება მის რინგზე გამოგდებას.“

რას იზამს პრეზიდენტი?

ის ჯიუტად ითხოვს, პირდაპირ ჩემპიონთან შებმას და ძალიან ბევრ მილიონს.

„აქ ბილეთი უნდა აიღო, შვილო“, კვლავაც ერთ ყურში შედის და მეორედან გამოდის.

"პრეზიდენტი" და მისი მწვრთნელი ჯურტის ჯოუკსი



THE RING

მანჩესტერ იუნაიტედი ინგლისი

მარცხნიდან დგანან: პიტერ შმაიხელი, დუაიტ იორკი, ენდი კოული, რონი იონსენი, იან სტამი, რაიან გიგზი;
სხედან: იესპერ ბლომკვისტი, ნიკი ბათი, დევიდ ბექემი, გარი ნევილი, დენის ირვინი